

ლუკას ბერტუსი

ჩვენი მშობლების სექსუალური ნევროზი

დრამა

მოქმედი პირი:

დორა

დედამისი

მამამისი

დორას ექიმი

დორას შეფი

შეფის დედა

სანდომიანი მამაკაცი

მოქმედების ადგილი:

ბოსტნეულის სავაჭრო ფარდული

საცხოვრებელი ბინა

ექიმის კაბინეტი

სასტუმროს ნომერი

სადგურის მოსაცდელი

კემპინგი

დებორა: მცდელების შემთხვევაში რა ძირი მის მიზანი არ იყო? რა მიზანი არ იყო?

1. ეპიზოს კაპიტო.

1 რთ ულიგლამო ნაშუადლევს.

დებორა: უნდა გადავიდოთ ამ გადავიდოდა, ატეხ-და ჭყვიტინს დასაკლავი გოჭივით. ერთხელ, ოთახში ჩაი-კეტა და კარები ჩარაზა შიგნიდან. კინალამ გავგიუდით. მერე მეხანძრები რომ მოვიდნენ და მის აივანზე კიბით გადავიდნენ, უცბად დამშვიდდა და ისიც კი მითხრა, ამ ბატონებს ყავას რატომ არ მიართმევო. გარეთ ხომ ასე ცივა და საერთოდ ჯერ ისევ ლამეაო.

ექიმი: მთელი დღის განმავლობაში აპათიაში იყო ხოლმე ჩემი დორა, მაგრამ შუალამე როგორც კი გადავიდოდა, ატეხ-და ჭყვიტინს დასაკლავი გოჭივით. ერთხელ, ოთახში ჩაი-კეტა და კარები ჩარაზა შიგნიდან. კინალამ გავგიუდით. მერე მეხანძრები რომ მოვიდნენ და მის აივანზე კიბით გადავიდნენ, უცბად დამშვიდდა და ისიც კი მითხრა, ამ ბატონებს ყავას რატომ არ მიართმევო. გარეთ ხომ ასე ცივა და საერთოდ ჯერ ისევ ლამეაო.

დებორა: მსმენია ეგ ამბავი.

მაგ: მაგ იუმორის დამსახურებაა სწორედ, უბანში ასე შემწყნარებლურად რომ ეკიდებიან.

დებორა: რა წამალი აღარ ვცადეთ, რა ჰორმონები, ყველანაირი კომბინაცია, იქამდე არ მოვეშვით, სანამ საჭიროს არ მივაგენით. ჰოდა, ესეც მშვიდდებოდა და მშვიდდებოდა, ასე გამოილო შედეგი ჩემმა უსაზღვრო სიყვარულმა, ექიმების მოთმინებამ და სიჯიუტემ.

ექიმი: ძალიან კარგია, რომ დორა გამოკეთდა.

დებორა: რა ვიცი, გამოკეთდა კი? ჴო, აღარ ყვირის, მაგრამ თითქმის აღარც იცინის, არც ტირის... ჭამს მარტო იმას, წინრასაც დაუდგამ. უკვე ორი წელია, მისგან ნორმალური საუბარი არ გაგვიგია, მხოლოდ რაღაც ფრაზებს თუ დაიჭერს ხოლმე და მერე გაიმეორებს. ხანდახან, სიმღერასაც წაიღილინებს, ვერავინ ხვდება, საიდან მოიტანა. სწორად გამიგეთ... უმაღური კი არა ვარ... მაგრამ ხანდახან ისე მომინდება ხოლმე, რომ კვლავ შეტევა მოუვიდეს... დორას სიცილი მომენატრა, იმხელაზე ახარხარდებოდა, ისე დაიბოხებდა ხმას, იმასთან ჩემი ქმრის სიცილი რას მოვიდოდა... გეგონებოდა, ჩემს გოგონას სხეულში მეზღვაური დოდა... გეგონებოდა, ჩემს გოგონას სხეულში მეზღვაური ჩაუსახლდაო, ან ჯალათი.

- ექიმი:** ჩემს წინამორბედს თუ მოუყევით ამის შესახებ.
დედა: ვერ გავძედე. ისე ცდილობდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა. პირდაპირ შეპყრობილი იყო დორათი, რა აღარ სცადა. წერდა მის შესახებ. ჩვენთან, სახლში მოდიოდა, როცა კი დაგვჭირდებოდა, შაბათ-კვირა იქნებოდა, თუ შუალამე, მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა. ასეთი გოგონა ადრე არასოდეს ენახა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბავშვია, თმის ერთი ღერიც კი არ აშორებს ჩვენს სამყაროებს ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ შორის გადაულახავი ზღუდეა აღმართულიო. ახლა ეს კარგი ადამიანი ცოცხალი აღარ არის. მე კი მინდა, რომ ჩემი ქალიშვილი უკან დავობრუნო.
- ექიმი:** ვერ გავიგე.
დედა: მინდა, რომ წამლის მიცემა შევუწყვიტოთ.
- ექიმი:** კარგად თუ აწონ-დაწონეთ ეგ ამბავი...
დედა: თუ მდგომარეობა გაუარესდება, ჰორმონების ეს კომბინაცია ხომ უკვე მზად გვაქვს. დადგენილი და დანიშნული ექიმების მიერ. ყოველთვის შეგვიძლია მიღება განვაახლოთ.
- ექიმი:** თქვენი ქალიშვილი ძალიანაა დამოკიდებული ამ წამლებზე.
დედა: იმ დროს, როცა დორა ჯერ კიდევ მე მეკუთვნოდა, სულ ბავშვი იყო. ახლა კი, თითქმის ზრდასრული ადამიანია. ვუყურებდი, როგორ ეცვლებოდა სხეული. მინდა გავიგო, შეიცვალა თუ არა შინაგანად. მაინტერესებს, რას მალავს ამ მარად გულგრილი სახის მიღმა.
- ექიმი:** ავადმყოფობის ისტორიას რომ გადავხედე...
დედა: მაგის შეხსენება არ მჭირდება. კარგად ვიცნობ მაგ ისტორიას. გადასარევად. მინდა, ამ ნაბიჯის გადადგმა გავძედო. დრო საკმარისზე მეტი მაქვს. ჩემი ქმარი ბევრს მუშაობს და მე სხვა მოვალეობა არ გამაჩნია, გარდა დორას მოვლისა. მინდა, თქვენთან ერთად მოვსინჯო... ან სხვა ექიმთან ერთად.
- ექიმი:** თუ შეძლებს დორა იმის გაგებას, რასაც ახლა ვეტყვი.
დედა: რასაკვირველია.
- ექიმი:** გამარჯობა, დორა.
დორა: გაუმარჯოს.

- ექიმი:** რას შერები, როგორა ხარ. დორა ენას უყოფს ექიმს.
- დედა:** კარგი ახლა, დორა. ენა დამალე. ხომ ხედავ, რომ ექიმი არ გსინჯავს.
- ექიმი:** აბა, რას ფიქრობ დედაშენის იდეაზე.
- დორა:** არ ვიცი.
- ექიმი:** დედაშენს უნდა, წამლების მოცემა შეგინყვიტოს.
- დორა:** უუჲ.
- ექიმი:** არ მოგეწონა, ხომ ეს ამბავი?
- დორა:** არ ვიცი.
- ექიმი:** გეშინია, არა.
- დორა:** არ ვიცი.
- ექიმი:** შენ უნამლობას არ ხარ მიჩვეული.
- დორა:** არ ვიცი.
- ექიმი:** იცი კი საერთოდ, რა არის წამალი.
- დორა:** არ ვიცი.
- დედა:** როგორ არ იცი, დორა.
- დორა:** უჲ, რა თქმა უნდა, ვიცი, როგორ არა.
- ექიმი:** მაშ, რას ვშვრებით ახლა ჩვენ?
- დორა:** ჯერ, მამაჩემს უნდა დავეკითხოთ.
- დედა:** ჩვენ განვიხილეთ უკვე ეს საკითხი.
- ექიმი:** პო. მერე რაო, რა თქვა?
- დორა:** პო. რა თქვა?
- დედა:** მამაშენი თანახმაა.
- დორა:** პოდა, შევუდგეთ აბა საქმეს, რაღას ველოდებით.

2. პოსტვეულის სავაჭრო ფარდული სადგურზე. მორიდან მატარებლის ხმა ისმის. საღამოა.

შეფი. დორა. შეფის დედა.

- შეფი:** დაგინახე, დორა. ნამდვილად დაგინახე. მთელი დილა გაკვირდებოდი. შენ თუ შეამჩნიე.
- დორა:** არა.
- შეფი:** თვალს არ გაცილებ... წუთითაც კი. შენი არც ერთი

მოძრაობა არ გამომეპარება. როგორ გრძნობ თავს? **ნიხი**

დორა: კარგად.

შეფი: ყურადღება გაქვს გაფანტული. მომისმინე, დორა: რაც არ უნდა ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებდე, გახსოვდეს, რომ სამყაროში წესრიგი არსებობს და კომბოსტოს ადგილი ყოველთვის სულ უკან არის, უკანასკნელ რიგში.

შეხედე, ეს ხომ უბრალო გამოთვლის შედეგია:

რა ლირს კომბოსტო?

კილო, ერთი და ოთხმოცდაათი.

დორა: სწორია. კილო კომბოსტო კი ოჯახს ორ დღეს გაატანინებს, თავს. ორი დღე. ხომ დავიქეცით ამასობაში. დაგვიხურავს დუქანი და ეგაა. იმდენად მაღალ ფასს ვიხდით იჯარაში, რომ საკუთარ თავს კომბოსტოს გაყიდვის უფლებას ვერ მივცემთ. მაგრამ აი, ჭარხალი კი, თავისუფლად შეგეძლო გაგეყიდა, სიმინდიც, თუკი შევუკვეთავდი, რასაკვირველია. ჩვენ არ ვყიდით წვნიანისათვის განკუთვნილ ბოსტნეულს, დორა. ეს არ არის ბოსტნეულის მაღაზია წვნიანისათვის! ანუ, რისი თქმა მინდა: წინა რიგში გვინყვია სატაცური, წინმატი, შავფესვა — აუცილებლად გარეცხილი. შეხედე, წინა რიგშია აგრეთვე სალათის ფოთლები, კანადური ვაშლი, რანეტსაც რომ ეძახიან, ოღონდ მხოლოდ ოქტომბრიდან ნოემბრის ჩათვლით. ნოემბრის მერე კი, ეს უკვე სასაწყობე ხილია. ამ დახლზე არ შემოდის სასაწყობე ხილ-ბოსტნეული. წინა რიგში თავსდება, აგრეთვე, უნაზესი შვეიცარული ცერცვი და ისე ცერცვიც, ხომ გასაგებია? ოღონდ, არა ლობიო. ლობიოს ყველაზე დიდი მესამე რიგში თუ მიუჩენ ადგილს, ჭარხლის ფოთლებსა და იმ სულელურ ტოპინამბურის, თუ მინის მსხალს შორის. მაგას ხომ არასდროს უნერია წინა რიგში მოხვედრა, თუმცა წინმატთან შედარებით სამჯერ უფრო ძვირია. ცხოვრებაშიც ასეა, რაც არ უნდა ძვირადლირებული იყო, წინა რიგებში ვერასოდეს მოხვდები, თუკი სიფათი იმ სათესლე კარტოფილს მიგიგავს, სამი წელი დაწნულ ბადურაში რომიყო შენახული. მაგრამ, ეს ყველაზე აფერი ხომ შენ უკვე იცი... ნოემბრიდან მოხვდები, თუკი სიფათი აბა, რა ხდება. თუმცა ... ნოემბრიდან მოხვდები

დორა: დიახ.

შეფი: აბა, რა ხდება. თუმცა ... ნოემბრიდან მოხვდები

დორა: არ ვიცი. მარტო არ ვიცი.

შეფი: იქნებ, წამლების ბრალია.

დორა: არ ვიცი.

შეფი: არა, მაინც ვერ გავიგე, ეს საკითხი ჩემთან რატომ არ შეათანხმა. მე აღარაფერი მეკითხებოდა? ერთი სიტყვაც აღარ მეთქმოდა? ბოლოსდა ბოლოს, ვისთან ერთად ხარ მთელი დღე, ვისთან ერთად მუშაობ? ჩემი აზრი არ უნდა ეკითხა, იქნებ რა მქონდა სათქმელი... ძალიან გაბრაზებული ვარ დედაშენზე... მეტიჩრობს აქ. წაიღო ტვინი თავისი ექსპერიმენტებით. მშვენივრად იყავი, რას გერჩოდა. მართლა ძალიან გაბრაზებული ვარ. შენ არაფერ შუაში ხარ, დორა. შენზე არ ვბრაზობ... ან კი, რა უნდა მეწყინოს შენგან. მაგრამ ვგრძნობ ხოლმე, როდის ხარ დაბნეული და აფორიაქებული... თითქოს მეც მეფანტება, ამ დროს, ყურადღება. ამიტომაც, როცა შენ აღარ იღებ წამალს, ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს ამ ოხრობას აღარც მე ვსვამდე. მიტომაც, მანუხებს შენი ამბავი. ჩვენი ცუდად ყოფნა კი, არაფრით არ შეიძლება.

ისედაც ვერაა ამ ჩვენი მაღაზის საქმე კარგად.

სიჩუმე.

დორა: ვაი!

შეფი: თუ გავკოტრდით, გაჭიმავს კიდეც დედაჩემი ფეხებს. გარანტიას გაძლევ... ვერ გადაიტანს. მაგრამ, საბედნიეროდ, არაფერი იცის ჯერ.

ქალბატონი: რაო, რა არ ვიცი ჯერ.

შეფი: არაფერი, დედა, შენ არ იცი არაფერი.

ქალბატონი: ვინ არის, ამდენს რომ ელაპარაკები?

შეფი: დორაა, დორას ვესაუბრები.

ქალბატონი: რა ხდება, ხუთი წუთით მაინც მოასვენე ეგ ბავშვი.

შეფი: მნიშვნელოვან საქმეზე ველაპარაკები.

ქალბატონი: შეეძვი რა, მაგ გოგოს.

შეფი: მუშტარი არა გვყავს, თუ რაშია საქმე...

შეფი: რასაკვირველია, გვყავს, დედა, რასაკვირველია. დორას მიმართავს: ერთ კვირაში გასასვენებელი გაგვიხდებოდა, ნალდად ვიცი, შეიძლება სამ დღეშიც კი. ისე, რას დავის-

ვენებდით! ვიღა წაგვჭამდა ტვინს... მაგრამ მთავარია, მერე როგორ იქნებოდა ჩვენი საქმე.

რა იქნება მერე, დორა. შენ რა გეშველება, დორა. ჩვენ რა გვეშველება. მაღაზია აღარ გვექნება და მაღაზის გარე-
შე როგორდა ვნახავთ ერთმანეთს... საგანგებოდ კი ვერ შევხვდებით, ვერავითარ შემთხვევაში. კარგად იცი, რა-
ტომაც.

იცი, დორა, მე და შენ არაფერი გამოგვივა, მეტისმეტად
განსხვავებულები ვართ, არაფრით არ გამოგვივა... ყო-
ველ შემთხვევაში, ამ ცხოვრებაში და ამ სამყაროში ასეა
და სხვაგან რა მოგახსენო, არ ვიცი.

ამიტომაც, უნდა შევინარჩუნოთ ეს ჩვენი ფარდული.
აუცილებელად! ამიტომაც უნდა მოიკრიბო მთელი
ყურადღება, გინდა წამლებით და გინდა მათ გარეშე.

ჩვენი გაკოტრება არ იქნება.

მაგას სჯობია, ახლავე დავიხოცოთ ორივე.

ასე რომ, გვეყოფა, საქმეს ვუბრუნდებით.

ამასობაში დამთავრებულა კიდეც სამუშაო დღე.

მაშინ, მაკოცე ერთი.

3. სახლში. საცოლეთან. ღამის ლამაზა ათოია, ზანჯილის მიღვა უკუნი სიპირელე ჩასაფრებულა.

ღამეა.

დედა. დორა.

დედა წიგნში კითხულობს: იყო და არა იყო რა, იყო ერთი
მდიდარი კაცი. მას ჰქონდა ყველაზე ლამაზი ჩემოდანი,
რომელიც კი მოიძევებოდა იმ ქვეყანაში. იმ ჩემოდანში
ცხოვრობდა ერთი ბაყაყი. ბაყაყი ბავშვის სიმაღლისა
იყო და ამ კაცისათვის იღბალი მოჰქონდა. საკმარისი
იყო რაიმე წამოენყო, სამუშაოსთან დაკავშირებული თუ
სხვა, თუნდაც სასიყვარულო ისტორია, რომ წარმატება
გარანტირებული ჰქონდა — მხოლოდ იმიტომ, რომ ამ
ჯადოსნურ ბაყაყს ფლობდა. ამ ბაყაყის დამსახურება
იყო სწორედ, რომ ეს კაცი საყოველთაო სიყვარულით

სარგებლობდა. ქვეყნის პრეზიდენტი მისი საუკეთესო მეგობარი იყო, ხშირად ეპატიუებოდა ხოლმე თავისთან სადილად და საკუთარ პრობლემებზე ესაუბრებოდა. მოგვიანებით შენაპსს მიირთმევდნენ ერთად და ანეგ-დოტებით ართობდნენ ერთმანეთს. მერე კაცი ბრუნდე-ბოდა შინ. იქ მას ბაყაყი ელოდა, რომელიც ჭკვიანად იჯდა თავის ჩემოდანში. ფრიად უპრეტენზიო არსება გახლდათ, გადაჰკრავდა ხოლმე თითო ჭიქა ვაშლის ღვინოს და სრულიად კმაყოფილი იყო, განსაკუთრებით, თუკი, ნახევარ დუჟინ გამხმარ ბუზსაც მიართმევდნენ ხოლმე სადილად. ამ ბუზებს, კაცი, სათევზაო მოწყობილებების ფარდულში ყიდულობდა და ბაყაყსაც მეტი არა უნდოდა რა. მაგრამ, არსებობდა ერთი რამ, რომლის შესრულებასაც ბაყაყი აუცილებლად მოითხოვდა. კაცი ვალდებული იყო, ბაყაყი კვირაში ერთხელ ებანავებინა და თანაც აუცილებლად ქაფიან, თბილ წყალში. საპონს არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუნდაც ყველაზე იაფთა-სიანი ყოფილიყო, ბაზრობებზე რომ იყიდება ხოლმე, ორი და ოთხმოცი რომ ჯდება ხუთი ცალი. ეს საპონი ყველის სახეზე უნდა გაეხეხა, ბოლომდე. მერე, უნდა აელო ბრტყელძირა ვარცლი, საპონის ნაფცევენები ფსკ-ერზე მიმოებნია. შეავსებდა ხოლმე ვარცლს ნელთბილი წყლით და ბაყაყს ჩასვამდა შიგ. ის კიდევ დაჯდებოდა გაუნძრევლად, არც გაცურ-გამოცურვა, არც თქაფუნი, უბრალოდ, ხანდახან წამოიყიყინებდა მეტისმეტი სიამოვნებისგან. თხუთმეტი წუთის მერე, დაავლებდა კაცი ხელს თავისი ბედნიერების თილისმას და წყლის ჭავლს შეუშვერდა, კარგად გაავლებდა, მწვანე კანიდან ქაფს ჩამოაშორებდა. ბაყაყი ისე უღონოდ ჩამოყრიდა ხოლმე თავის მწვანე ფეხებს, გეგონებოდა, ეგ არის და მოკვდა უკვეო, მაგრამ კაცმა იცოდა, რომ მის თილის-მას ასე ყოფნა ყველაზე უფრო უყვარდა. სამზარეულოს ერთჯერადი ხელსაწმენდებით კარგად გაამშრალებდა ბაყაყს, რომელიც მისი ბედნიერების თილისმა იყო და რომელსაც უმადლოდა ყველაფერს, მერე კი უკანვე, თავის ჩემოდანში ათავსებდა. დორას მიმართავს: გძინავის უკვე?

- დორა:** არ შემიძლია.
- დედა:** რატომ არ შეგიძლია.
- დორა:** ძალიან მოსაწყენი ზღაპარია.
- დედა:** იქნებ, ბაყაყები არ გიყვარს.
- დორა:** ზღაპრები არ მიყვარს. არასდროს მყვარებია.
- დედა:** მე კიდევ ვცდილობ... ბიბლიოთეკებში დავრბივარ, ყოველ საღამოს რომ ახალ-ახალი გიკითხო. გეთქვა მერე, როდესმე გეხსენებინა.
- დორა:** არ შემეძლო.
- დედა:** რატომ არ შეგეძლო?
- დორა:** რა ვიცი. არ დავეძებდი. ყოველთვის სიბრიყედ მიმაჩნდა, მაგრამ არ დავეძებდი.
- დედა:** სხვა რამეებთან მიმართებაში როგორ ხარ? იქნებ მათაც სიბრიყედ მიმაჩნევ და არ ამბობ?
- დორა:** არ ვიცი... თუმცა... შარვალი არ მიყვარს.
- დედა:** რომელი შარვალი არ გიყვარს.?
- დორა:** არც ერთი. არც ერთი შარვალი არ მიყვარს.
- დედა:** კი მაგრამ, მე ხომ შენთვის მხოლოდ შარვლებს ვყიდულობდი.
- დორა:** ქვედაბოლო მირჩევნია.
- დედა:** იცინის: ჰოდა, მოვისროლოთ ეგ წყეული შარვლები.
- დორა:** ყველა... დაიხაც, ყველა.
- დედა:** დიახაც, ყველა.
- დორა:** არა, ჯინსებს დავიტოვებ.
- დედა:** მოდი, ყველა მოვისროლოთ, ჯინსების ჩათვლით. ხვალ კი წავიდეთ და ქვედაბოლოები ვიყიდოთ.
- დორა:** ო' კეი.
- დედა:** ოჱ, შვილო, რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ. ჭირსაც ნაულია ექიმები და მათი წამლები. მორჩა, ეგ ამბავი დამთავრებულია. არავითარი აბი აღარ დავინახო,
- დორა:** აღარასოდეს. შევთანხმდით უკვე. კეთილი იყოს შენი დაბრუნება ამ სამყაროში, დორა.

4. დაცლთან. ნათელი დილა.

ნინა დამიტ ინვიტა.

სანდომიანი მამაკაცი. შეფი. ქალბატონი. დორა.

სანდომიანი მამაკაცი (ს.მ.) თავაზიანად მიმართავს დორას: ასეთ დღეს, როგორც დღევანდელია, ყველაზე უფრო ხურტყმელით საუზმობა მოუხდებოდა. შეუცვლელი ხილია ჩემთვის. თუ რატომ, მე თვითონაც მიჭირს გარკვევა.

შეფი საუბარში ერევა: ახლა ხურტყმელის სეზონი არ არის.
ს.მ.: მაში, თქვენ იმპორტული საქონელი არ შემოგაქვთ.

შეფი: თითქმის ყველაფერი იმპორტულია. უბრალოდ, ხურტყმელი არა გვაქვს. აღარავინ მიირთმევს. აი, ეს ეგზოტიკური ხილი გასინჯეთ. ბრონეული, მაგალითად. კარგი მნიშვეა, ხელითაა დაკრეფილი.

ს.მ.: დორას გადახედავს: როგორც ვხედავ, აქ ეგზოტიკურობის ნაკლებობას არ უჩივით და არამარტო ხილთან დაკავშირებით.

შეფი: ჰა, ჰა, ჰა. რა მოხდა მერე, მე პირადად მომწონს კიდეც ეს ამბავი, დორა ნამდვილი ოქროა! ბაჯალლო ოქრო!

ს.მ.: ამ გოგონას ზედვე ეტყობა. დორა ჩვენი საქმის ნაწილია, შემიძლია მასზე დაუსრულებლად ვილაპარაკო, ხომ გესმით, რასაც ვგულისხმობ. რას აღარ ისწავლი მისგან. ნარმოუდგენელია. გასაგიშებელია. დიდებულია.

ს.მ.: უფალმა ღმერთმა ტყუილად როდი გააჩინა ასეთი მრავალფეროვნება ადამიანებისა.

ს.მ.: გთხოვთ მომიტევოთ, თუკი ზედმეტ ცნობისმოყვარეობას ვიჩენ. რა ოდენობის თანხით განისაზღვრება სახელმწიფო დახმარება?

შეფი: სახელმწიფო დახმარება... ხუმრობთ, არა?

დედა: ერთი, თუ არ შეწუხდები, აქეთ გამოდი, რა.

ქალბატონი: გამოდის რა ხდება?

შეფი: სიცილით ეს უნდა მოისმინო. ეს ბატონი პირდაპირ პირში მახლის შეკითხვას, რა ოდენობის თანხით

განისაზღვრება სახელმწიფო დახმარებაო.

წარმოგიდგენია, პირდაპირ პირში.

ქალბატონი: რომელი დახმარება...

შეფი: სახელმწიფო დახმარება დორასათვის.

ქალბატონი: ამაზე ვინ ფიქრობს. ან კი რა მნიშვნელობა აქვს.

გადის.

შეფი: ადამიანი ან გრძნობს სოციალურ პასუხისმგებლობას, ან ვერა. ეგ რომ მუქთა იყოს, ყოველი ჩვენთაგანი

კაცობრიობის მეგობარი გახდებოდა.

ეს ჩუმი ბოიკოტია სწორედ, ცხოვრებას რომ

გვირთულებს.

ამას პირში არავინ მეუბნება, მაგრამ ბრმა ხომ არა ვარ... მაგათ ჰერნიათ, რომ რახან დორაა და რახან ასეთია,

შეიძლება სისუფთავესთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდეს. მაგათ ჰერნიათ, რომ ჩემი ხილ-ბოსტნეული

შეიძლება არაპიგიენური იყოს.

დორა, აბა ერთი აქ მოდი.

დორა მიუახლოვდება.

შეფი: ბატონს შენი ფრჩხილები აჩვენე.

დორა უჩვენებს.

შეფი: აბა.

ს.მ.: წუნდაუდებელია.

შეფი: აბა, ეხლა მკლავები ზემოთ ასწიე. შენ ხომ კარგი გოგო

ხარ.

დორა მკლავებს მაღლა სწევს.

ს.მ.: მის იღლიებს ათვალიერებს.

შეფი: მობრძანდით, უფრო ახლოს მოიწიეთ. გადასვლის

ხაზს ამჩნევთ? ვერც შეამჩნევთ. ჩვენ ყოველთვის

საგანგებოდ ვცდილობთ, რომ ჩემი დორა სისუფთავის

განსახიერება იყოს. მაგრამ, რად გინდა მერე...

დარწმუნებული არიან, რომ გოგონას თავის მოვლა არ

შეუძლია და ამიტომაც ბაქტერიების გავრცელების

წყაროს წარმოადგენს. ამ საქმეს, არც ეს კედელზე

გამოკრული ცნობა შველის, პიგიენის კონტროლის

დეპარტამენტმა რომ გასცა. დორასნაირი გოგონას

ხელში გამოვლილი ხილ-ბოსტნეულის შეძენა არავის უნდა.

- ს.მ.:** ამ დროს ხომ ეს ხალხი სრულიად ნორმალურია.
შეფი: უცბად დაუჭვდება: რომელი ხალხი?
ს.მ.: აი, დორასნაირი ხალხი.
შეფი: რაიმე პრობლემა ხომ არა გაქვთ მათთან დაკავშირებით...
- ს.მ.:** არანაირი.
- შეფი:** დორა არ მოგწონთ, თუ რაშია საქმე.
- ს.მ.:** ღიმილი სათნო აქვს.
- შეფი:** კბილები წამლებმა გაუფუჭა. დიდი მადლობა, დორა, შეგიძლია მკლავები ჩამოუშვა. დორა ამჯერადაც ემორჩილება.
- შეფი:** დორა უნიკალური მოვლენაა. მეცნიერება დაინტერესებულია მისით. იქ, სადაც ჯერ არს, იციან მისი ფასი და უკვე წამლის მიცემაც შეუწყვიტეს. ექიმი ჯერ ვერ ამჩნევს ვერაფერს, მაგრამ მე უკვე შევატყვე. ეს იგრძნობა რაღაცნაირად... როცა ასე ახლოს ხარ ვინმესთან. ჩემ-სავით... მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, მე ყველაფრისთვის მზადა ვარ. დორა — ჩემი გოგოა.
- მაგან:** მაგან ამიხილა თვალება და მაგრძნობინა, თუ რა მშვენიერია სამყარო.
- მაგან:** მაგან მიჩვენა, თუ რა არის ამ ცხოვრებაში მთავარი.
- ს.მ.:** ერთი მაგალითი მაინც მითხარით, ძალიან გთხოვთ.
- შეფი:** ეს შორს წაგვიყვანდა.
- ს.მ.:** ძალიან გთხოვთ.
- შეფი:** ეს პირადად უნდა გამოსცადო.
- ს.მ.:** რას არ მივცემდი სანაცვლოდ...
- შეფი:** ასეთები ბევრად მეტნი არიან, ვიდრე ხალხს ჰგონია. თვალი გაახილეთ და დაინახავთ.
- ბრონეული:** გინდათ, თუ არა. ნახევარ კილოს აგინძით.
- ს.მ.:** ერთი ცალიც მეყოფა.
- შეფი:** ერთ ცალ ბრონეულს აწვდის.
- შეფი:** შანდომიანი მამაკაცი გადის.
- შეფი:** ამ... ამ სანდომიან მამაკაცს უფრთხილდი, დორა. მაგასაც და მაგის ხურტკმელსაც.

5. ექიმთან შუაღლე აცლახას გადავიდა. სამყარო მაძღარი და მოთაცილია.

დედა: დედა. ექიმი. დორა. დედა. ექიმი. დორა.

დედა: ეს ნამდვილი საჩუქარია. მე კვლავ დავიბრუნე ჩემი ქალიშვილი. თვითონ მეუბნება, რა სჭირდება და რა არა. მთელი დღის ამბებს მიყვება, რა ანუხებს, რა ამხიარულებს. გრძნობებს ამჟღავნებს. კვლავ დაიწყო სიცილი, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ გვიცინია იმდენი ერთად, რაც წუხელის, მარტო ერთ საღამოს.

ექიმი: დორა არ ავლენს გადამეტებულ აღგზნებადობას...

დედა: სწორი გადაწყვეტილება იყო. კვლავ ადამიანად იქცა. უკანასკნელ წლებს რომ გადავხედავ ხოლმე, სინდისის ქენჯნა მიპყრობს და ჩემს თავზე ვბრაზდები... და კიდევ იმ ექიმზე, თავისი წყეული პატივმოყვარეობით.

ექიმი: იგი დარწმუნებული იყო, რომ თქვენი ქალიშვილისათვის ასე იყო საჭირო.

დედა: იქნებ, მთელი ეს წლები დორა სულ ასეთი იყო, სალსალამათი და მხიარული, სიცოცხლისმოყვარე. მე ვგულისხმობ იქ, ქიმიის ფარდის მიღმა გატარებულ ლეთარგიის ხანას.

დორა სიცილით: ქიმიის ფარდა...

ლეთარგიის ხანა... ქიმიის ფარდა... ლეთარგიის ხანა... ლეთარგიის ხანა...

დორა: ჰო, მართლაც ირითმება, შემთხვევით კარგია, რომ შეამჩნიე.

დორა ხმამაღლა: ქიმიის ფარდა... ლეთარგიის ხანა...

დედა: შეხედეთ, სასწაული არ არის. დორა თითქმის ყვირის:

ქიმიის ფარდ... ლეთარგიის ხანა... ლეთარგიის ხანა...

კარგი, დორა, გეყოფა ახლა, დიახ. გასაგებია.

- ექიმი:** რას შვები, როგორ ცხოვრობ ამ პოლო დროს.
- დორა:** მე.
- ექიმი:** ჰო, მოგვიყევი.
- დორა:** ძალიან კარგად. მართლა. მშვენიერი დრო გავატარე. ა. ბ. გ.
მაგრად ვიხსალისე. სწორი გადაწყვეტილება იყო.
აბსოლუტურად. მართლა. ორივე ხელით ვუჭერ მხარს.
ძალიან წავიწიე წინ, იგულისხმება პიროვნულად.
- ექიმი:** კარგია. მშვენიერია.
- დორა:** საკმარისია, უკანასკნელ წლებს თვალი გადავავლო, რომ
მაშინვე მიპყრობს... უეცრად დუმდება.
- დედა:** წინადადება არ დაგიმთავრებია. მიდი, თქვი პოლომდე.
- დორა:** მართლა...
- დედა:** ჰო. შენ ამბობდი: საკმარისია, უკანასკნელ წლებს თვალი
გადავავლო, რომ მაშინვე მიპყრობს... მიდი, დაასრულე.
- დორა:** საკმარისია, უკანასკნელ წლებს თვალი გადავავლო,
რომ მაშინვე მიპყრობს სინდისის ქენჯნა... და ჩემს
თავზე ვპრაზდები... და კიდევ იმ ექიმზე, თავისი წყეული
პატივმოყვარეობით.
- დედა:** ნაღვლიანად: შვილო!

6. სასტუმოს ნომერში.

გაყვანილობის ზუსტი ისმის.

გამო მცირებული სანდომიანი მამაკაცი. დორა.

მიუღია მის გადასახადის მიზანისთვის.

- ს. მ.:** შემობრძანდით, გთხოვთ, დაბრძანდით. აგერ, ამ
ლოგინზე აჯობებს, მე მგონი. ვიცი, ჩემთან ცოტა
არ იყოს სივიწროვეა, გთხოვთ შემწყნარებლობა
გამოიჩინოთ. თან არეულობაცაა. მოახლე მხოლოდ
ნაშუადლეობით ალაგებს ხოლმე. ისე, წესრიგი თუ
გიყვარს, შენ თვითონვე უნდა დაალაგო. მე კიდევ
მიყვარს წესრიგი. თუმცა, იმ გოგოს უკვე მივეცი
ფული, ოთახის დასალაგებლად, რა თქმა უნდა. ხომ
გესმით, ახლა ზარალში გამოვდივარ, თუკი მე თვითონ
დავალაგებ, ნამდვილი დილემაა... თუმცა გვეყო ამაზე
ლაპარაკი. რამეს ხომ არ დალევდით, მაღამ? ჭიქა

ლვინოს, ლუდს, თუნდაც შამპანურს. რა კარგია, რომ
დამთანხმდით, ასე სპონტანურად.
დორა არ პასუხობს.

ს.მ.: მდაა, ენაჭარტალობას ნამდვილად ვერავინ დაგნამებთ.
არაუშავს, თქვენ მაგაზე არ იდარდოთ, ეს ჩემთვის
პრობლემა არ არის. მარტო ერთი კითხვა მანუხებს, რა
უნდა თქვენნაირ ქალს ხილ-ბოსტნეულის ფარდულში...
შეგიძლიათ, არ მიპასუხოთ... ნება მომეცით, ფანტაზიას
მოვუხო. საიდან შეგიძლება მოდიოდეთ... სად არის
თქვენი ფესვები... არის თქვენში რაღაც რუსული,
ხომ მართალია, მეფის უკანასკნელი ასულისეული,
გალატაკებული, ლირსებააყრილი, უცხო ნაპირზე
გარიყული, კარტოფილსა და მწვანილეულობას შორის
მოყოლილი... სწორედ აქედან მოდის ეს ჯიშიანობა,
სინაზე, სიწმინდე, ცისფერი სისხლი... დარწმუნებული
ვარ, დიდი ხნის განმავლობაში თქვენი ოჯახი
თავისთავში იყო ჩაკეტილი, თაობების მანძილზე არ
ირევდა უცხო სისხლს, რადგან სხვები მათ დონეს
ვერ აქმაყოფილებდნენ და სწორედ ამის შედეგია
ნაკვთების ასეთი სინატიფე, გულგრილობამდე მისული
გაწონასწორებულობა, სწორედაც რომ მეფური,
იმპერატორული. შეგიძლება, ვცდები კიდეც და სულაც
არ არის ასე. ამბობენ, რომ ადამიანების რაღაც
გამეგება. მაშ, სხვა რა დარდი უნდა გინისლავდეს მაგ
ციმციმა თვალებს, თუ არა მოგონებანი სისხლიან
კვირა დღეებსა თუ ტყვიებით დაცხრილულ ხალხთა
მასებზე... მე მაგ თვალებში ვხედავ ვრცელ პარკებს,
ხეთა ასწლოვან მასივებს და მათ შორის გამორეულ
გადაჭრილ ხეებს, უჩვეულოდ მკაცრ ზამთარს რომ
შესწირვიან მსხვერპლად. ამ შეშას იმ ლუმელში
უკიდებენ, უზარმაზარი სასახლის ვრცელი დარბაზების
ერთადერთ სამშვენისად რომ არის დარჩენილი,
ყველანაირი ავეჯეულობის დაწვის შემდეგ. დამწვარია
უკვე ძვირფასი წიგნები, სურათები და საკარნავალო
მორთულობა, აღარ დარჩა აღარაფერი, მხოლოდ
დათვის ძველი ტყავი აგდია ეულად, კარგა ხნის

ნინათ გაცვეთილი და ბენვეგაცვენილი. მოიცადეთ, ნუ
ლაპარაკობთ, თქვენს თვალებში ისედაც ვკითხულობ,
თუ როგორ შეგროვილა მთელი ოჯახი ცეცხლთან,
დიახ... და როგორ სდებს ღუმელში შეშის უკანასკნელ
ნაჭერს ერთგული მოხუცი მსახური, ერთიანად
დაუძლურებული და გაფითრებული და ისიც რომ
ჩაიწვება, დარბაზში კოსმოსური სიცივე ისადგურებს. ამ
დროს შემოცვივდებიან კიდეც ხიშტებმომარჯვებული
ჯარისკაცები, რომელთა მზერაში მსოფლიო ისტორია
იღვენთება და აბსოლუტურად ყველაფერს ცეცხლში
ითრევს... ასე, რომ ზამთრის იმ ღამეს დიდი კოცონი
ინთება, რომლისაგანაც თავის დაღნევას მხოლოდ თქვენ
ახერხებთ. აჲ, საყვარელო!

დორას ჩაიხუტებს, ეფერება, ათვალიერებს, მერე ხელს
ჰკრავს.

რამდენი ნლისა ხარ.

- | | |
|--|---|
| დორა: | არ ვიცი. |
| ს.მ.: | თექვსმეტის ხომ მაინც იქნები. |
| დორა: | არ ვიცი. |
| ს.მ.: | საბუთი თუ გაქვს რამე. |
| დორა: | არა. |
| ს.მ.: | აბა, ეგ რა არის, კისერზე რომ გკიდია. |
| დორა: | ამაში ფურცელი დევს, რომელზეც ჩემი სახელი და
ტელეფონის ნომერი ნერია. კიდევ ათფრანკიანი. |
| ს.მ.: | ერთხელ უკვე დავიკარგე და სახელი ვეღარ გავიხსენე. |
| რა უბედურებაა. ძალლი ხომ არა ხარ. | |
| დორა: | არა. |
| ს.მ.: | სწორია. შენ სიმპათიური გოგონა ხარ. აბა, წამოდექი,
მინდა შეგათვალიერო. კარგია. შეტრიიალდი...
შემოტრიალდი... მშვენიერია... ტაკუნები ვერ არის
მაინცდამაინც, მაგრამ არა უშავს. |

**7. სახლში. უსაღამეა.
საციელი იცვის და ცვეტი-ცვეტად იღვეოთავა.**

აღდამისთვის და მამამისთვის

- დედა:** ტირის, ფორას არწევეს და უყვავებებს: ჩემი პატარა, სულ დალურჯებულიძე ჩემი პატარა, ყველგან სისხლჩაქცევები აქვს.
- დორა:** არაფერი მიჭირს.
- დედა:** შენ არც ეი გეხმის, რა გაფიკეთა იმ გარენარმა. ფულიც კი წაგარითვა მაგ ნაძირალამ, არაკაცმა.
- დორა:** ახე მითხრია, საფულე დამჟერდებო.
- მამა:** ყველაფერი კი არ უნდა დაიჯერო, რასაც გეტყვიან.
- დორა:** ო'კეი, მამა.
- მამა:** რატომ წაყევი.
- დორა:** მე ხომ სასტუმროს ნომერში არ ვიყავი არასდროს ნამყოფი.

**8. ეპიზოდი. სისხამი დილა,
როცა ერთი სული გაქვს იმ დღის დადგომაგლე.**

ექიმი. დედა. დორა.

- ექიმი:** ეს ამბავი კარგად გადაიტანა. ერთი-ორი პერმატომა მუცლის არეში, ორიოდე ნაკანრი აქა-იქ — ისეთი არაფერია, რომ ორ კვირაში არ მორჩეს.
- დედა:** უჲ, შე წყეულო გარენარო.
- ექიმი:** მაპატიეთ.
- დედა:** თქვენზე კი არა, იმაზე ვამბობ, ვინც ჩემი გოგო ამ დღეში ჩააგდო, ნამდევილი გარენარია.
- დორა:** ამას არ უნდა ამბობდე, დედა. კარგად მექცეოდა.
- დედა:** დორა, კარგად იმიტომ გექცეოდა, რომ თან ნაჟყოლოდ. მაგ კაცს შენთვის სიკეთე არ უნდოდა. ყველაზე საუკეთესო რამ ნაგართვა, რაც კი მოგეძევებოდა.
- დორა:** აუცილებლად დამიბრუნებს იმ ათვრანებიანს, პირობა მომცა.

დედა: ახლა კარგად მომისმინე, დორა. აწი იქ აღარასოდეს
ნახვალ, გესმის, აღარასოდეს, დამპირდი.

დორა: მერე ის ათფრანებიანი.

დედა: ფულს არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია შენი
ჯანმრთელობა.

დორა: ნუთუ ჯანმრთელი არა ვარ...

დედა: ვერ მოუსმინე, ექიმმა რა გითხრა.

ექიმი: დედაშენს უნდა დაუჯერო, დორა. იგი მართალია.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვების
გულუბრყვილობით ბოროტად სარგებლობენ.

დორა: ო'კეი.

ექიმი: ისმის კითხვა, ეს ამბავი პოლიციაში უნდა განვაცხადოთ
თუ არა?

დედა: ჩემი აზრით, ეს დორას გადასაწყვეტია.

ექიმი: დორა. გინდა, რომ პოლიციას მოუყვე ყველაფერი?

დორა: მერე ჩემს ფულს დამიბრუნებენ?

დედა: რას გადაეკიდე იმ წყეულ ფულს.

ექიმი: პოლიციას უნდა უამბო, როგორ მოგაყენა იმ კაცმა
ტკივილი.

დორა: არაფერიც არ მტკენია.

დენ ცმი, ჭირშე ჩატარებული და დატვირთვის შემთხვევაში
რეანიმი და ართოველი მართვის დრო დაუკავშირდებოდა. მაგრა და
დამცული მისამართზე, არა დაუკავშირდებოდა. რამაც ჩატარებული და
მოიხურებოდა მართვის დროების მისამართზე, და ამავე დროის და
ამავე დროის და ამავე დროის და ამავე დროის და ამავე დროის და

9. ეპიზოდი კაგირეთი. დედები უკვე ჭრიან ბოსტონულს,

დამხეული მახაპი სამუშაო დღის მოხარულებას ჩაიროგენ,

გავავები სხადან სკოლებში.

ადამიანი და მართვის და მომსახურების და მომსახურების
უნდობებული მიმდევა, ან ექიმი. დორა.

ექიმი: მაშასადამე, არ გტკენია. ძალიან კარგი, დორა. იცოდე,

რომ პირველ ჯერზე ყველა გოგონას შენსავით როდი

უმართლებს. კარგი... მახარებს შენი ამბავი. შენი

მშობლებიც გახარებული არიან, თუმცა ამჟამად

ცოტათი ლელავენ. მეტისმეტად ხარ ნაჯიჯენი,

მაგრამ არაუშავს. ჯერ არ ხარ გავარჯიშებული და

ასეთ დროს ერთო-ორთი სისხლჩაქცევა სახალისოც ერთ, შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი როგორია, დორა, მარჯანიანიაში. რაც მოხდა, მოხდა. ამაზე დარღი აღარ ღირს. რაც არ ყნება კოორდინატი, ანი იცოდე, რომ ამაში ცუდი არაფერია, მართლა. ადამიანი ჩნდება აქედან, უფლა... წარმოიდგინე აბსოლუტურად ყველა... ამ გზით, ამ საოცრების წყალობით და სამუალებით. ამიტომაც ძალიან კარგია, რომ შენც გაუცანი ამას. შენც ხომ უნდა გამოიყენადა, თუმცა ადრე არ გქონდათ ამის უფლება. საკმაოდ დიდხანს არ უნდოდათ უღიარებინათ, რომ თქვენც გქონდათ სექსუალურობა. დღეს კი ყველაფერ ამას ხრულიად ახლებურად და განსხვავებულად აღვიძებათ. ეს ამბავი ხომ მხოლოდ იმისთვის არ ხდება, რომ ბავშვი ჩაისახოს, არა, ნამდვილად, თუმცა არხებობენ იხეთებიც, რომლებიც დღესაც ასე ფიქრობენ. მაგრამ, შენ ხომ არა ხარ კათოლიკე. დროს თავს აქანებს უარის ნიშნად.

ვერშია: არც შენი ოჯახია თავისუფალი ევანგელისტური საზოგადოების წევრი, ასე რომ, საშიში არაფერია. ყოველ ადამიანს, კაცი იქნება თუ ქალი, უფლება აქს აკეთოს ეს საქმე, ყველას, ხომ გესმის, ანუ შენც, დორა. მოკლედ, შენ უკვე იცი, როგორ ხდება ეს ამბავი, მაგრამ რაიმე კითხვა თუ გავიჩნდება, უმორჩილესად გთხოვ, ჩემთან მოხვიდე. ხანდახან ძალიან გიჭირს ხოლმე, მიხვიდე დედასთან და რამე ჰკითხო, მით უზეტეს თუ საქმე ეხება ძალიან პიროვნულს და ინგიზურს. ანუ... რას ვამბობ — როგორც ყველა სხვა საქმები, სიყვარულშიც საჭიროა გარევეული წესების დაცვა. და თვით დღევანდელ დღესაც კი, უკიდურესი თავისუფლების ზეობის ხანაში, წესების დაცვის გარეშე არაფრით არ შეიძლება. ეს, ყველა ადამიანს ეხება, მათ შორის მეც. მეც ვიცავ რაღაც წესებს. სხვა შემთხვევაში ჩავიკარგებოდი უკიდეგანოდ გადაშლილ სივრცეში. ამის მაგალითებს ხომ ყოველდღიურად ვხედავ, თუ რა მოხდით იმ ადამიანებს, საკუთარ თავში კომპასი რომ არ გააჩნიათ, სულერთია რა შიზეზით, იქნება ეს ავტორიტეტთან დაკავშირებული პრობლემები

თუ საკუთარი თავისუფლების შეუზღუდველობის სურვილი. შეუზღუდველობა... არადა, სინამდვილეში პირიქითაა. სწორედ წესებისა და კომპასის გარეშე დარჩენილი ადამიანი გრძნობს თავს შეზღუდულად, რადგან ამ საბრალო ქმნილებამ არ უნდის, თუ სად წავიდეს, საით მიიღორიკოს თავი. საქმე სრულიადაც არ ეხება აკრძალვებს, ერიკა, არავითარ შემთხვევაში, დაიმახსოვრე, რომ ამურულ ამბებში აკრძალვებს არასდროს არ უნდა შეეგუო. სხვათა შორის, “ამურული” ფრანგული სიტყვაა და “სასიყვარულოს” ნიშნავს.

დაიმახსოვრე: არასდროს იფიქრო აკრძალვებზე! არასოდეს. “ეს არ უნდა ქნა”, “ეს არ შეიძლება” და ა.შ. და მერე მათ გამო რაიმე აიკრძალო. ვთქვათდა მოხვდი რაიმე სიტუაციაში, ნებისმიერში, სულ ერთია და არ იცი, ესა თუ ის საქციელი დასაშვებია თუ არა და ამ დროს შინაგანი ხმა ჩაგდახის: შეეშვი, ამის გაკეთება არ შეიძლებაო, მერე: ყურადღებითო, მერე კიდევ — ფრთხილადო. მერე — დავიღუპეთო. მაშინ იცოდე, რომ სწორედ ეს უპირო-განუსაზღვრელი ვიღაც არის ის ყველაზე არასწორი რამ, რაც კი შეიძლება სიყვარულს უკავშირდებოდეს. ყველაზე მეტად ცხოვრებაში სწორედ მაგ ვიღაცას უნდა უფრთხოდე! და იცი, რატომ?

რადგან ეს სულ უცხო ხმებია, რომლებიც სულ ამ “არ შეიძლებას” გაიძახიან, მორალის ხმები. დიახ. და თუკი სიყვარულში საერთოდ არსებობს მორალი, ეს მხოლოდ შენი საკუთარი მორალი შეიძლება იყოს, დორა.

მხოლოდ ერთი მორალია: დორას მორალი.

მხოლოდ ერთი ხმაა სწორი: დორას ხმა.

ფანჯარასთან დადექი, დორა, მოდი, მოდი, მომიახლოვდი, ქუჩაში გადაიხედე, მიდი, სახეზე დააკვირდი ხალხს, მე შენ გეუბნები: ყოველ მათგანს შეატყობ, ვის ხმას მიჰყვება, თავისას თუ სხვისას. აგერ ის კაცი, ძალლი რომ ახლავს და პალტოში გახვეულა: სხვისი ხმაა. ის პავშვიანი ქალი, ქოლგით: სხვისი ხმაა. ეს ტურისტები ფოტოაპარატებით და გზამკვლევებით: ეს ტურისტები ფოტოაპარატებით და გზამკვლევებით: ერთი ორი სამი ოთხი ხუთი ექვსი შვიდი რვა ცხრა ათი თერთმეტი თორმეტი ცამეტი — სხვისი ხმა. თუკი

გავყუჩდებით, ისინი ჩვენც მოგვწვდებიან.

პაუზა.

ჩურჩულებს: გესმის ეს ხმაური, ქშინვა, ალაგ-ალაგ ხითხითი.

პაუზა.

ყურადღება: ეგერ იქ ნაწნავებიანი და მოკლეკაბიანი გოგონა რომ მოჩანს, შეიძლება, საკუთარი ხმა იყოს.

ვინ იცის, ვინ იცის. ასეა დორა. ყოველ ათ მორჩილ „ოურჩება“ ადამიანზე შეიძლება ერთი თავისუფალი მოდიოდეს.

ეს, უკეთეს შემთხვევაში. იმას როდი ვამბობ, რომ ეს ადვილია, პირიქით — ეს ყველაზე ძნელია, რაც კი

რამე არსებობს. მაგრამ, ხომ უნდა შეეცადო მაინც. შენ უნდა შეეცადო, დორა, შენ თვითონ. მაინც ვინ არის ეს არსება, ადამიანი რომ ჰქვია, რას წარმოადგენს იგი...

იქნებ, მას არ უნდა აღიაროს, რომ მისი შინაგანი „მე“ მართალია. შეძლებს კი, ასე იცხოვროს, სხვების ხმებს,

— ხმაურს, ქშენას, ხითხითს გამოდევნებულმა. ნუთუ არ აწუხებს, თავს რომ იტყუებს, უარს რომ ამბობს იმაზე,

რაც სჭირდება და მხურვალედ სწყურია, შეყვარებულია და თვალს ხუჭავს საკუთარი თავისა და საკუთარი

სიმართლის ნინაშე. ან იქნებ ადამიანი საქონელივითაა,

დორა, მათსავით უნდა ცხოვრება. მაგრამ არა, მას

სურს საკუთარი თავის პოვნა, შემეცნება, მასთან დაახლოება — აი, რას ეძებს იგი. სიყვარული და

სექსუალური ცხოვრება კი, ადამიანებს სწორედ ამაში ეხმარება — საკუთარი თავის შეცნობაში. როგორი

დიადი და კეთილშობილური მიზანია! და ამას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც დღეს თავისუფალ

ქცევას ეძახიან, როცა ნახევრადტიტლიკანები ქუჩა-ქუჩა დაყიალობენ, სხეულის ყველაზე ინტიმურ

ნაწილებში რგოლებს იყრიან, ერთი ლოგინიდან მეორეში დახტუნაობენ. აკეთონ, რაც უნდათ, არაფრის

აკრძალვას არ ვაპირებ, ღმერთმა შეარგოთ, თუკი მაგათთვის ასეა მართებული. მაგრამ მართებულია

კი? ჩემი აზრით, არა. ამ ხალხს კომპასი არა აქვს.

რათქმაუნდა, დარწმუნებული არიან, რომ იმას გააკეთებენ, რაც უნდათ, მაგრამ ვაი, რომ წარმოდგენაც

არა აქვთ, თუ რა უნდათ. პო, მაგათ პეტონიათ, რომ რაც მაგათ უნდათ მართებულია. ეს შეცდომაა, დორა, შეცდომა, შეცდომა, კიდევდაკიდევ შეცდომა! მარტო იმას რომ აჰყვე, რაც შენ გინდა, მაშინ იმ ყველაზე ომახიან ხმას უნდა დაუჯერო, რომელიც კი შენში ხმიანობს და ყველაზე ომახიანი კი სულაც არ ნიშნავს შენს საკუთარს. ანუ რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: არ ენდო ომახიან ხმას, ის შეიძლება სხვას ეკუთვნოდეს. პაუზა.

კარგი. გვეყო ამაზე საუბარი. შევეცადოთ, გავხდეთ უფრო კონკრეტულები და პრაქტიკულები. გადავიდეთ სამოქალაქო და სისხლის სამართალზე. დაიმახსოვრე, დორა: ამის კეთება არ შეიძლება სხვისი თანდასწრებით.

მოკლედ, ჯობია, თუ ბუნებაში კეთებასაც მოერიდები,

თუმცა ეს ჯერ ლიად არავის აუკრძალავს. ბუნების

წიაღშიც შეიძლება, ოლონდ მხოლოდ განსაკუთრებულ

შემთხვევებში და არც ძალიან ხშირად. ისე, ქვეყანა კი

არ დაიქცევა, ვინმე თუ მოგკრავს თვალს. მხოლოდ

ერთხელ. მართლა. ასეა. მე, მაგალითად, არ დავდივარ

იმ ადგილებში, ბუნების წიაღში სექსის მოყვარულთა

შორის განსაკუთრებული პოპულარობით რომ

სარგებლობს. ეს პოპულარობა არის სწორედ, ხალხს

რომ იზიდავს, ყოვლად უცნაურ ხალხს და არის იქ, მერე

ყირაზე გადასვლა და კოტრიალი, მოკლედ, ხვდები

ალბათ. მაგალითად, კემპინგი რომ არის ქვემოთ, ტბის

პირას, ჯობია, თუ არ წახვალ. იქით თუ ვინმე წავიდა,

უკვე ცხადია, რაც უნდა. პო, ქუჩაშიც არ შეიძლება,

არავითარ შემთხვევაში. თუმცა ალბათ სულ გესმის

ისეთი ადგილების შესახებ, როგორიცა: სადარბაზოები,

ნაგვის კონტეინერის უკანა მხარე, გზატკეცილის

უსაფრთხო ზოლი და რა ვიცი, რას აღარ აღწერენ კიდევ

იმ იაფფასიან რომანებში, ჯიხურებში რომ იყიდება. შენ

თუ კითხულობ, დორა.

ნაკითხვით კი ვკითხულობ, მაგრამ ვერ ვიმახსოვრებ.

დორა: კარგია. მაგრამ იმ ადგილებს მაინც მოვერიდებოდი, რა

ექიმი: კარგია. მაგრამ იმ ადგილებს მაინც მოვერიდებოდი, რა

დალა გადგია, ვინ იცის, ვინ დაგადგება თავზე. ქვეყანა

კი არ დაიქცევა, მაგრამ როცა ქუჩაზე მიდგება საქმე,

პოლიცია რეაგირებს ძალიან მტკიცნეულად. უბრალოდ, არ არის სახარბიელო, რადგან რაღაც-რაღაცეები შეიძლება მართლა დასჯადი იყოს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და ა.შ. მოხვდები მერე ციხეში, ან უკეთეს შემთხვევაში, მოგიწევს მორალური ზარალის ანაზღაურება. მოკლედ, არ შეიძლება — სადგურებში, მატარებელში, მოედნებზე, მუზეუმში, სტადიონზე, თეატრში, საზოგადოებრივ ტუალეტში, სხვის ეზოებში, ანუ ღობეზე არ უნდა გადაძვრე და არ... მოკლედ, ხვდები, რასაც ვგულისხმობ. ან, შენ კი მოგეწონებოდა, ვინმეს რომ შენს ბალში... მოკლედ, მასშტაბად ყოველთვის საკუთარი თავი აიღე და მაშინ აღარ გაგიჭირდება სწორად მოქცევა. პაუზა. თუმცა... თუმცა ნამდვილად ვიცი, რომ შენ არ გეწყინება, თუკი ვინმე შენს ღობეზე გადმოვა, თან გოგოსაც გადმოიყვანს, კაბას აუწევს და უკნიდან ერთი-ორს კარგად გაუდებს იმ ფითქინა ტაკუნებში, რომლის მთვარისფრად მოლაპლაპე კანის ქვეშ ცისფერი ძარღვები ასე მადისალმძვრელად იკვეთება და ასე ლამაზად ირხევა... შენ არ დაემდურებოდი მაგათ ამის გამო, დორიკო, ხომ მართალია? ჰა-ჰა-ჰა! პაუზა. ჰო, მაგრამ სხვები ბრაზდებიან. პარტნიორების არჩევანშიც, პრინციპში, თავისუფალი ხარ. რაც გინდა, ის ქენი. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, მამაკაცის მხრიდანაც უნდა არსებობდეს შესაბამისი სურვილი, თუმცა ეს თავისთავად. შეგიძლია ქალიც კი აირჩიო, ასაკს არა აქეს მნიშვნელობა. მოიცა, ოღონდ ბავშვები არა, დორა, ბავშვებთან არ შეიძლება, არასოდეს, ეს აკრძალვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, აი, საზოგადოებრივ ადგილებთან დაკავშირებით რომ გეუბნებოდი, ალბათ უფრო მეტად მნიშვნელოვანიც კი. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ისეთივე დასჯადია. შენს ადგილზე, ცოლიანებსაც არ ავირჩევდი, რად გინდა ზედმეტი დავიდარაბა, თუმცა ეგ კანონით არ ისჯება. ზოგიერთს იზიდავს კიდეც ეგ და ვაღიარებ, არც თუ

ისე უსაფუძვლოდ. მეტისმეტად შებერტყუილი უნდა იყო, რომ თავს ამის უფლება მისცე, რადგან გათხოვილ ქალთან სიყვარულის გაბმა გარკვეულ ფინანსურ და საორგანიზაციო საკითხებთან არის დაკავშირებული. მაგრამ, ამ მომენტში შენ ეს არ გეხება. კანონი არც რაოდენობას გისაზღვრავს, სრული თავისუფლება გაქვს მონიჭებული. ეს თეორიულად. მაგრამ, აქაც ითვლება, რომ მეტისმეტად ბევრი მავნეა ჯანმრთელობისათვის. მოკლედ, ერთ ჯერზე ორზე მეტი არაა საჭირო, და შეეცადე, პარტნიორი ერთი კვირა მაინც შეინარჩუნო, თუკი ერთი თვესაც მოახერხებ, მთლად უკეთესი. ესეც ასე. მე მგონი, მოვაბით თავი რაღაცას. შენ თუ დაიმახსოვრე რამე.

დორა: დიახ.

ექიმი: დალიან კარგი. წამლის აბს ანვდის. ახლა ამას დალევ. ყოველ დილით თითო ცალი უნდა მიიღო, ოცდაერთი დღის განმავლობაში, მერე შეისვენებ. დედაშენი გიჩვენებს, როგორ უნდა გააკეთო.

10. სადგურზე. საღამოა, ხალხი უკვე (ან ჯერ კიდევ)

სახლში და ეუჩები დაცარიელებულია.

დორა. სანდომიანი მამაკაცი.

დორა: გაუმარჯოს.
ს.მ.: გაუმარჯოს.
დორა: როგორ ხარ.
ს.მ.: კარგად.
დორა: ჩქვენ ჩიცნობთ ერთმანეთს?
დორა: თქვენ ჩემი ათი ფრანკი გმართებთ.
ს.მ.: ძალიან ვწუხვარ, მაგრამ, მგონი, ვიღაცაში გეშლებით.
დორა: არა, ეს თქვენ გეშლებით. თქვენ არ მითხარით, რუსი ხარო, თუმცა სულაც არა ვარ რუსი. თქვენ კი მაინც მიმეორებდით, გინდა თუ არა — რუსი ხარო. უბრალოდ, მე არ ვიცი ამის შესახებ არაფერი. მერე მომადექით და გამჟიმეთ. ნახევარი საათის განმავლობაში მუიმავდით.

- აფერის, მოპირდაპირე შესრულება, სახტუმჩობი.
- ს.მ.: მდგრადი ფანტაზია გჭიროს.
- დორია: მერე ძალას ხშირად ლაპარაკობდით და რაღაც ცეცხლს შეუძლებოდით. ლამაზინყდა, რას. კოდვე, ძალას განითლდით, კოდვე იმებომი მნიშვნით და ერთო-ორი კარგად ნამოიაქვთ. მერე კი — გარეთ გამომავდეთ ეს უსამისროლობა.
- ს.მ.: ენ ცოტა დაცურნებული ხომ არა გაქვს კრამიტები.
- დორია: აი, დალილებული ადგილები. პულუურის აინუც.
- ს.მ.: მორინი ახლა, შე ნაკლებლი. მარი გინდა მაინცდამაინც.
- დორია: მეტს წულან გამავდებთ, ნამიყვანეთ თან. უფრო მეტ ხანს მინდა ჭიბულია, ნახევარი საათი არ მყოფნის.

11. სასტაროს ცოგის შემთხვევა, თავი გვიანია, თავი გვიანია ეინ უდია იყვნენ უკვა დიდი ხეის ნინ.

სანდომისნი მატებული დორია.

- ს.მ.: ასეთ სახეს წუ იღებ. შენ არაფერ შეუძი ხარ.
- დორია: სიფრთხილეა საჭირო.
- კუელა გოგო შენსავით გულლია კი არაა.
- დორია: სხვა გოგოებსაც იცნობთ.
- ს.მ.: კი. არის რამდენიმე.
- დორია: იმათაც ჟიმავთ ხოლმე.
- ს.მ.: ვინ გონივარ. კუელაზე ერთგული მამაკაცი ვარ მსოფლიოში. მხოლოდ შენ მყავსარ. შენ ხარ ჩემი მეგობარი გოგონა.
- დორია: დედაჩემი ძალიან გაბრაზდა იმ ფულზე.
- ს.მ.: რომელ ფულზე.
- დორია: აი, ჩემი რომ გმართებთ.
- ს.მ.: შენც დაიჯერე, რომ მე მაგ ათ ფრანკს რამედ ვთვლი... დამავინყდა კიდეც, მისი არსებობა.
- დორია: ეგ ფული უნდა დამიბრუნოთ.
- ს.მ.: მაგიტომ მოხვედი ჩემთან... შენთვის მთავარი ფულია, არა. ახლა დაიტენდი ეს საკუთა ახლა ნალდი ფული არა მაქვს თან.

- ამოირჩიე რამე ჩემი ჩანთიდან. ნიმუშებია მანდ.
ფულს შემდეგ ჯერზე მიიღებ. დორა ჩანთიდან სუნამოს იღებს.
- ს.მ:** შენ ნამდვილი ექსპერტი ყოფილხარ.
მთელ ასორტიმენტში ეგ ყველაზე ძვირადლირებულია.
დორა: ციტირებას ახდენს: ცხოვრებაშიც ასეა, რაც არ უნდა
ძვირადლირებული იყო, წინა რიგებში ვერ მოხვდები,
თუკი სიფათი იმ სათესლე კარტოფილს მიგიგავს, სამი
ნელი მონაცემი ბაზურაში რომ იყო შენახული. სუნამოს
ყნოსავს.
- ს.მ:** როგორია, ხომ აქვს კარგი სუნი.
დორა: თავს უქნევს.
ს.მ: ხომ მოგწონს...
დორა თავს უქნევს და ცოტაოდენ სუნამოს კისერში
იპკურავს.
- ს.მ.:** იცი მაინც, რა წაისვი ეხლა ყელზე.
დორა: არაა.
ს.მ: ხარის ფუნა.
დორა: ჰა-ჰა-ჰა. იტყუები.
ს.მ: სულაც არა, ამ სუნამოს ნამდვილად ციმბირელი
ხარების ნეხვისაგან ამზადებენ და ეს ქაქის სუნი ისე
კარგად ესადაგება ამ ჩვენს დიდებულ რუს ქალბატონს,
თითქოსდა საგანგებოდ მისთვის იყოს შექმნილი. აბა,
ეხლა ამ საპონს შეხედე. ამაზე რაღას იტყვი. ამაზე რას
ბრძანებს ჩვენი ექსპერტი.
- დორა:** ლამაზადაა შეფუთული.
ს.მ.: ოპო. კარგი შენიშვნაა.
სუნი, სუნი როგორი აქვს.
ანუ, რისი სუნი ასდის.
- დორა:** ვარდების.
ს.მ.: ვარდების, არა. კარგია.
ვარდის სურნელი ჩვენი დიდებული ქალბატონისთვის.
ვარდის საპონი რუსეთის მეფის ასულისათვის. ინებეთ,
გთხოვთ.
- საინტერესოა, იცი კი, რატომ ასდის ვარდის სუნი?
დორა: რათა რუს ქალბატონს ვარდების სურნელი აუვიდეს.
ს.მ.: რათა იმ მკვდარი ღორების სურნელი არ აუვიდეს,

რისგანაც საპონს ამზადებენ. მართალია, ამის გაგონება თქვენნაირ დახვეწილ ქალბატონს არ ესიამოვნება, მაგრამ ეს ლამაზად შეფუთული საპნები სწორედ ლორის ქონისაგან კეთდება. ლორებს ჯერ ყელს გამოჭრიან, მერე ქონს ააჭრიან, კარდალაში ჩააგდებენ და იმდენ ხანს ხარშავენ, სანამ სულ არ დაინშინდება და გათხელდება. მერე ჩაუმატებენ მწვავე ნატრის ხსნარს, სულ ბოლოს კი ვარდის წყალსაც ჩააშხაპუნებენ. მერე, პრიალა ქალალდში ლამაზად შეფუთავენ და ზემოდან ბაფთასაც გადაუჭერენ, ლამაზად რომ გამოიყურებოდეს და ვერავინ მიხვდეს, რომ სინამდვილეში ერთი ნაჭერი ლორის მძორია და სხვა არაფერი.

დორა: საპრალო ლორუკელა.

ს.მ.: ლორები გიყვარს, არა? შემიძლია, დაგამშვიდო... ძროხებსაც ზუსტად ასევე ექცევიან.

დორა: და ბაყაყებსაც.

ს.მ.: თეორიულად კი. თუკი ცხიმიანი ხორცი აქვს, რატომაც არა. მშვენიერი საპონი გამოვა. მაგრამ ქალებს

საუკეთესო საპონიც კი ვერ შველით, სუნი მაინც ასდით. ძალიან მგრძნობიარე ცხვირი მაქვს, დორა, შეგიძლია, მენდო. რაც არ უნდა ხარის ფუნის სუნად ყარდეს ქალი, მის სუნს მაინც ვიგრძნობ.

დორა: მე არ ამდის სუნი.

ს.მ.: არა, შენ სუნი არ აგდის, უბრალოდ აყროლებული ხარ. აუტანელი ყროლის სუნი აგდის.

დორა: მკლავებს მაღლა წევს: ჩვენ ყოველთვის საგანგებოდ ვცდილობთ, რომ ჩვენი დორა სისუფთავის განსახიერება იყოს.

ს.მ.: მე კი ცუდ სუნს ვგრძნობ. მაშინვე ვიგრძენი, როგორც კი პირველად გნახე.

დორა: სამწუხარო იქნება, თუკი იქ ხილს ალარ შეიძენთ.

ს.მ.: და, რა უნდა მოიმოქმედოს ქალმა, თუკი უნდა, რომ სანდომიანმა მამაკაცმა მისი ხილი კვლავ გასინჯოს...

დორა: არ ვიცი.

ს.მ.: ალარ უნდა იბანავოს. მე არ მიყვარს, როცა ქალს ლორის ქონის სუნი ასდის. დაიბან და ალარ გაგუიმავ. რა ვენა,

10068 ასეთი ცხვირი მაქვს. ახლა კი მოდი ჩემთან, ერთი
კარგად დამსვარე. **10069**

12. სახლში. საუზმის დროს. ყავის სურნელში ერთა დამდები დღის იველი

- მამა:** რატომ უნდა აძლევდე დორას შენი სუნამოს დასხმის
უფლებას. ის არ გეყოფა, რომ შენს კაბებს აცმევ და
საკუთარ პარიკმახერთან ატარებ? მე კიდევ ცოლი და
ქალიშვილი ერთმანეთისაგან ვეღარ გამირჩევია. ასე
შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ციხეშიც კი მოვხვდე.
- დედა:** მე რა ვქნა, თუკი ზუსტად იგივე ფასონი მოსწონს,
რაც მე. არაფერი უჭირს, სარეცხი მაინც მომაკლდება.
ისედაც ყელამდე მაქვს სახლში საქმე.
სხვათაშორის, მე დორასთვის სუნამო არასდროს
დამისხამს.
- მამა:** ეტყობა, შენს უკითხავად სარგებლობს.
- დედა:** დორა ამას არასდროს იკადრებს.
- მამა:** რა ეიცი, კი არის აქოთებული საროსკიპოს
დიასახლისივით.
- დედა:** ჩემს სუნამოს საროსკიპოს სუნი არ ასდის.
- მამა:** მაშინ მითხარი, რა სჭირს შენს ქალიშვილს, რატომ ყარს.
- დედა:** დორასთან მიდის და სუნავს: მართალი ხარ. საროსკიპოს
სუნია.
- მამა:** ხომ გეუბნებოდი.
- დედა:** კვლავ სუნავს: ეს ჩემი სუნამო არ არის.
- მეტისმეტად შმორის სუნი ასდის, თითქოს მძალეც.
- ასეთ სუნამოს არასოდეს ვიხმარდი, გამორიცხულია.
- მამა:** შენი თუ არ არის, აბა, საიდან აქვს.

13. პოსტინის დაცლთან. სირიოზული სიტუაცია, გუშტრების გარეშე

ქალბატონი. შეფი. დორა.

ქალბატონი: სრულიად ბუნებრივია, რომ ყმანვილი ქალი სუნამოს იპკურებს. თხუთმეტი წლის ასაკიდან მოყოლებული სულ პარფიუმერიას ვხმარობ. რა მოხდა მერე. რა არის ამაში ცუდი... რახან დორა ასეთია, როგორიცაა, ამიტომ არ შეიძლება მისთვის? აუცილებლად იდიოტური სუნი უნდა ასდიოდეს? დედამისი თანამედროვე ქალია. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს. საიდან ასეთი რქიანობა...

შეფი: უბრალოდ, უნდა გაიგოს, ვინ მისცა დორას სუნამო. ნერვიულობს, სულ ეს არის.

ქალბატონი: ვის უნდა მიეცა. ყმანვილი კაცების მეტი რა ყრია, კარგი საჩუქრებით ქალიშვილების გულის მოგება რომ ეხერხებათ.

შეფი: დორა ქალიშვილი არ არის. მამამართავს უბრალოდ, უნდა გაიგოს, ვინ მისცა დორას სუნამო.

ქალბატონი: დორას მიმართავს ყური არ უგდო. ახალგაზრდობაში ჩემთვისაც ცდილობდნენ, რომ დაეშალათ. მამაჩემმა მიმასიკვდილა, ისე მცემა. მაგრამ ფეხებზე მეკიდა. შეულებავ თვალებს ისევ დალილავებული მირჩევნია. მეთქი, ასე გამოვუცხადე. თავი არავის მოატყუებინოო... მამალმერთს, ცათა ზედა, ესიამოვნება, თუკი თავს მოვუვლით. გალამაზებითა თავისა ჩვენისა, განვადიდოთ უფალი და საქმენი მისნი.

შეფი: დედა, გთხოვ, მითხარი. ეს სუნამო შენ მიეცი, თუ არა. თუკი სხვამ მისცა, ხათაბალა არ ამცდება. რადგან სიფრთხილე ვერ გამოვიჩინე. თუმცა პირობა მქონდა დადებული, ფრთხილად ვიქნები-მეთქი. კარგად იცი, ამას რაც შეემთხვა. იმ ტიპთან... მერე ადგება დედამისი და დორას ნამართმევს. მერე ვიღა გამიყიდის საქონელს. შენ, ნამდვილად, არა.

ქალბატონი: დორას მხოლოდ წაადგება, თუკი შენი ბოსტნეულის გარდა სხვა რამესაც წახავს.

შეფი: ნეტა რას გადაეკიდე ამ ჩემს ბოსტნეულს, რა დაგიშავა.

ქალბატონი: ყოველ შემთხვევაში, უმაღლესი დონის სუნამოა.

კლიენტებს მოსწონთ. შეგიძლია, გადასცე იმ ქალბატონს. ამ ახალგაზრდა ქალბატონს ისეთი გემოვნება აღმოაჩნდა, დედამისს რომ არც დაესიზმრება.

შეფი: მე თუ მკითხავთ, იყოს აყროლებული, თუ არის. რაში მანქტერესებს კლიენტთა აზრი. არ მჭირდება აქ რიარია. რა, სილამაზის დედოფალი დავიქირავე თუ რაშია საქმე. დორამ ხილ-ბოსტნეული უნდა გაყიდოს. დანარჩენზე მე ვიზრუნებ.

14. სახლში. დედა სახლის გარეთაა.

- | | | |
|--------------|---|--------|
| მამა: | რას ჰეგავხარ, ბავშვო, რანაირად გამოიყურები. | : ს. დ |
| დორა: | ნაჯიჯეგნი ვარ ცოტათი. | : ს. დ |
| მამა: | ერთი კვირაა, ტანი არ დაგიბანია. | : ს. დ |
| დორა: | ჰო. | : ს. დ |
| მამა: | როგორ გიყვარდა ხოლმე ბანაობა. წყალი ძალიან ცხელი უნდა ყოფილიყო და კარგად გაქაფული, ხომ გახსოვს. | : ს. დ |
| დორა: | რასაკვირველია. | : ს. დ |
| მამა: | ეს კვირის საუკეთესო მომენტი იყო ხოლმე. | : ს. დ |
| დორა: | უკან ალარ უნდა ვიყურებოდეთ, მამა. | : ს. დ |
| მამა: | ხალხს არ ეყვარები. | : ს. დ |
| დორა: | მთავარია, შენ გიყვარდე. ხომ გიყვარვარ. | : ს. დ |
| მამა: | შენ ჩემი შვილი ხარ. | : ს. დ |
| დორა: | თუ მოგწონვარ. | : ს. დ |
| მამა: | რას მეკითხები. | : ს. დ |
| დორა: | ჩემთვის არასდროს გითქვამს, მოგწონვარ თუ არა. | : ს. დ |
| მამა: | შენ ლამაზი გოგო ხარ. | : ს. დ |
| დორა: | შენ კი — ლამაზი ბიჭი. | : ს. დ |

**15. სხსტუმროს ნოტირები. დრო დამიცავას 04.09.2015, 09:00
ჩირდება, ბაზარიანი იმანიგიბიან.**

სანდომიანი მამაკაცი, დორის.

- ს.მ.1:** რას მომტერებულია მე. შემდეგ, ნუ მამტერდები ასე. რამე მაინც მითხარი. პირდაპირ შიშისმომგერელია შენი დუმილი იმის შემდეგ, იქამდე ეი დემონიერ დამტეჭერები ხოლმე. თუ ყოჩადად არ ეიქნი, შეიძლება ბურდლაც ეი აღარ დარჩეს ჩემგანს.
- დორა:** დავაშავე რამე? რასა ამბობ, პირიქით. უბრალოდ, ჩემს თავს ვეკითხები, მაინც სად ნახე ეს ყველაფერი, ვინ გიჩვენა.
- დორა:** შენ.
- ს.მ.1:** მე...
- დორა:** უბრალოდ მეც იმასვე ვაკეთებ, რასაც შენ.
- ს.მ.1:** და ეს ხდება შენი საკუთარი სურვილით.
- დორა:** ჩემი საკუთარი სურვილით ვაკეთებ იმასვე, რასაც შენ.
- ს.მ.1:** გეყო ლაქლაქი. წადი ახლა.
- დორა:** არა.
- ს.მ.1:** წაეთრიე-მეთქი.
- დორა:** მე ვრჩები.
- ს.მ.1:** შენ რა, ხომ არ დაყრუედი.
- დორა:** შენი მშობლები ნერვიულობენ, ალბათ, უკვე.
- დორა:** დაბნელებამდე არ მელოდებიან სახლში. ჯერ დღეა კიდევ.
- ს.მ.1:** რა უთხარი ასეთი, გარეთ რომ გამოგიშვეს ამ კვირა დღეს...
- დორა:** ჩემს მეგობართან მივდივარ-მეთქი. ხომ ძრეს და ასან და ჩემთან გამოძვერი, ხომ...
- ს.მ.1:** უმ, შე პატარა ცრუპენტელავ.
- დორა:** მე ტყუილი არ მითქვამს.
- ს.მ.1:** მაშასადამე, გჯერა, რომ შენი მეგობარი ვარ.
- დორა:** რა, არ გინდა, თუ რა... შენ, მხოლოდ მითხარი.
- ს.მ.1:** რამდენი მეგობარი გყავს უკვე.

- დორა:** არც ერთი.
- ს.მ.:** ანუ მე შენი პირველი მამაკაცი ვარ.
დორა თავს უქნევს.
- ს.მ.:** ვაიმე, ავტირდები ახლა.
- დორა:** რატომ.
- ს.მ.:** მატყუებ.
- დორა:** მე არ გატყუებ.
- ს.მ.:** როგორ, ნუთუ მართლა არავინ გყოლია ჩემამდე. ნუთუ
ეს სიმართლეა. და მე მჩუქნი ამას. მე... ბავშვო... მე კი
როგორ უხეშად გექცევი. ჩემო ანგელოზო. მე კიდევ როგორ
როგორ ვუხამსობ და რა საშინლად გეპყრობი.
- დორა:** ცუდად სულაც არ მექცევი.
- ს.მ.:** კი, კი, როგორ არა, დორა, ნამდვილად ცუდად გექცევი.
მე შენი ღირსი არა ვარ. შენნაირი ნაზი არსების.
ეს ჩემთვის ჯერ არავის უჩუქნია.
- დორა:** მაშ შენთვისაც პირველი იყო.
- ს.მ.:** პირველი იყო ისეთთან, რომლისთვისაც ეს ამბავი
პირველი იყო. ადრე საქმე მქონია მხოლოდ
- დორა:** გადაღრძუებულ, გაუბედურებულ ქალებთან. და
მეძავებთან.
- დორა:** ეგენი ვიღა არიან
- ს.მ.:** ამ საქმეში ფულს რომ იღებენ.
- დორა:** შენც აძლევ ხოლმე.
- ს.მ.:** მეტისმეტად ბევრს, დორა, მეტისმეტად ბევრს.
- დორა:** მეც მომეცი ფული.
- ს.მ.:** რისთვის.
- დორა:** გაუიმვისთვის.
- ს.მ.:** შენ ვერ გამიგე, დორა. აბა, ერთი აქ მოდი. შენ მეძავი
არა ხარ. არა, ბავშვო, შენ რაღაც განსაკუთრებული
ხარ. შენ ხარ ანგელოზი. ზეციდან მოვლენილი, შენ უნდა
მიხსნა მე, ბავშვო. მე შევიცვლები. დღეის ამას იქით სულ
კარგად მოგექცევი. გპირდები, იმას გაჩვენებ, რაც ჯერ
არავისთვის მიჩვენებია. თუ რა ვარ სინამდვილეში. აი,
აქ — გრძნობ? ეს მე ვარ და ეს შენი დამსახურებაა. ჩემი
ანგელოზი. ანი აღარ გაგაგდებ არსად. ანი ნამდვილად
აღარ გაგაგდებ. გიურ კი არა ვარ, რომ ანგელოზი
გავაგდო.

16. ექიმის კაპიტეში. დაგიტ აგრილდა.

ექიმი. დედა.

- ექიმი:** დორა ორსულადაა.
დედა: შეუძლებელია.
ექიმი: ასეა.
დედა: არასოდეს.
ექიმი: ვაი, რომ.
დედა: ის დამპალი, გარეწარი ისა.
ექიმი: თქვენ მას იცნობთ.
დედა: ვიპოვი, ეჭვი არ შეგეპაროთ.
ექიმი: მერე რას იზამთ.
დედა: ვიზრუნებ, რომ შვილს ფული გადაუხადოს.
ექიმი: კი, თუ ექნება ამის თავი.
დედა: რატომ არ უნდა ჰქონდეს.
ექიმი: თუ მუშაობს მაინც.
დედა: თქვენ ხომ ყოველთვის ყველაზე უარესი უნდა
ივარაუდოთ.
ექიმი: მდაა..
დედა: რა, აპა ბავშვის ფული ჩვენ უნდა ვიხადოთ?
ექიმი: მერე რა.
დედა: თუკი გაზრდა მომინევს, გადამიხადოს მაინც.
პაუზა.
რომ წარმოვიდგენ...
ჯერ დორა არ მეყოფოდა და ახლა მისი შვილი.
საწყის პოზიციაში ვბრუნდები.
რას იფიქრებენ...
ნამდვილი ზოოპარკია.
ექიმი: ზოოპარკი.
დედა: ან ცხოველთსაშენი, დორას შვილს ვგულისხმობ.
ექიმი: ჩვენ ხომ არ ვიცით ჯერ, ბავშვი როგორი იქნება.
დედა: როგორი...
ექიმი: რამდენად ჯანმრთელი...
დედა: ჯანმრთელი საიდან უნდა იყოს?
ექიმი: ხომ შეიძლება...

დედა: ახლა, მეორე უკიდურესობაში წუ გადავარდებით.
ექიმი: საშუალებების არჩევანში თავი არ უნდა შევიზღუდოთ,
 ბოლოსდაბოლოს დრო მაინც გვაქვს, ჯერჯერობით.

17. შინ. ლამის ლამია კი ათია, მაგრამ მყუდროებას ვერ ასაღგურებს

დედა, დორა.

- დედა:** მისმინე, დორა. დღეს ზღაპარი არ იქნება. ხომ თანახმა ხარ.
- დორა:** ო'კეი.
- დედა:** მოდი, რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბროთ, კარგი?
- დორა:** რა თქმა უნდა.
- დედა:** ხვდები ალბათ, რასაც ვგულისხმობ.
- დორა:** ვერა.
- დედა:** რაო, რა გითხრა ექიმია.
- დორა:** მე ორსულად ვარ.
- დედა:** იმ აბებს რატომ არ სვამდი.
- დორა:** ამ ექიმებმა ხომ ჭვინი წაიღეს თავიანთი წამლებით. მორჩა. ცხოვრებაში ერთ აბსაც აღარ დავლევ. ეს ხომ წამალი არ არის, დორა. ეს აბია, რომ ბავშვი არ ჩაგესახოს. ამას ხომ მეც ვსვამ. პაუზა.
- ახლა რას ფიქრობ, ანი რა იქნება...
- დორა:** არ ვიცი.
- დედა:** შენ არ იცი, არც მე ვიცი. არადა, ხომ უნდა იცოდეს ვინმემ. დუმილი.
- ჯერ კიდევ შეგვიძლია ბავშვის მოშორება.
- დორა:** ო'კეი.
- დედა:** მაშ, თანახმა ხარ.
- დორა:** რა დიდი ამბავი ეგ არის.
- დედა:** როგორ არ არის.
- აბორტი საკმაოდ სამნუხარო ამბავია.

- დორა:** მაშინ, არ მინდა ეგ აპორტი.
დედა: მაგრამ, იქნებ ეს ერთადერთი გამოსავალია ამ
 სიტუაციიდან.
- დორა:** ან იქნებ ის მითხვა, ვინ მოუვლის ბავშვს.
- დორა:** მე.
- დედა:** ეგ იოლი არ არის. ეს დიდი და საძნელო საქმეა.
- დორა:** იმიტომ, რომ იმასაც კრამიტი ექნება დაცურებული.
- დედა:** ვის აქვს კრამიტი დაცურებული.
- დორა:** მე მაქვს კრამიტი დაცურებული.
- დედა:** შენ თუ ეგ მართლა გჯერა, დაიკრიფე ახლავე გულზე
 ხელები და იყავი ასე.
- დორა:** ო'კეი.
- დედა:** ვისგან ისწავლე ეს ო'კეი.
- დორა:** არ ვიცი.
- დედა:** მოკლედ, მიდი, მოიფიქრე რამე.
- დორა:** შეგვიძლია ისეთ ვინმეს ვაჩუქოთ, ვისაც ბავშვების
 ყოლა არ შეუძლია.
- დედა:** მშვენიერი აზრია, მაგრამ არა მგონია, ვინმეს ეგ
 საჩუქარი გაუხარდეს.
- დორა:** მაშინ მოვიცადოთ, სანამ ქვეყანას არ მოევლინება და
 მერე მოვკლათ. არ გეხუმრები.
- დედა:** ეს ხომ აკრძალულია, დორა.
- დორა:** კი, არავის ვეტყვით. ხეზე მივაბამთ და აღარ
 მივაკითხავთ.
- დედა:** რა სასტიკი ხარ.
- დორა:** რა მოხდა მერე.
- დედა:** არ შეიძლება, დორა. დამიჯერე.
- დორა:** მაშინ აღარ ვიცი.
- დედა:** მამაშენს ხომ დაუჯერებ.
- დედა:** მამაჩემს ყოველთვის დავუჯერებ.

18. შინ. პვირაა და მამამაც მოიცალა.

მამა. დორა. დედა.

- მამა:** ეს ქალების საქმეა. მე რა ვიცი.
რა დაუდევრობაა.
რატომ არ გაფრთხილდი.
დორა: არ ვიცი.
მამა: შენ არ გეუბნები, დასწყევლოს ღმერთმა.
ზედმეტად თავის ნებაზე რომ მიუშვი ბავშვი, მაგის
ბრალია.
დედა: თავის დადანაშაულებას ჩემითაც კარგად ვახერხებ.
მაგას სჯობია, რამე შემოგვთავაზო.
მამა: რა უნდა შემოგვთავაზო.
ხომ ისედაც ცხადია, რაც უნდა გაკეთდეს.
მით უმეტეს, დღეს ეგ დიდ პრობლემას აღარ უნდა
წარმოადგენდეს, ყოველ შემთხვევაში, ასე წერენ.
დედა: მკაცრად: ბევრი კი გაგეგება შენ მაგ საქმის.
მამა: არა, მართლაც არ გამეგება. მაგრამ სხვა გამოსავალს
ვერ ვხედავ. და ეს შენც იცი.
დორა: და დორამაც იცის.
დორა: ხომ სწორია, დორა.
დორა: აბა რა, მამა.

19. სახლში. გარეთ დიდებული დღეა:

დედა. დორა. დედა ნიმუში

- დედა:** ვაიმე, შვილო, ვინ იცის, როგორ გაგიჭირდა.
დორა: სულაც არა. დღეს ხომ ეგ დიდ პრობლემას აღარ
წარმოადგენს.
დედა: როგორი მამაცი ხარ.
დორა: ექიმი რომ შემოვიდა შლანგით ხელში, ვიფიქრე,
უნდა გამუიმოს-მეთქი. მაგრამ შიგნით კი არ შემიდო,
პირიქით, გარეთ გამომიწოვა. ამასაც არა უშავდა. ისეთი
ხმა იყო, თითქოს ვიღაცა ჩალის ლერით სითხეს წრუპავს

- ჭიქიდანო. 068686069668088. მო6.81
- დედა: რა აუტანელი ხარ.
- დორა: ო'კეი.
- დედა: ეხლა რა გინდა?
- დორა: ყავას დავლევდი.
- დედა: მერე შეიძლება შენთვის?
- დორა: კი. აი, უიმაობა კი არ შეიძლება. ათი დღე.
- დედა: ხომ შეძლებ ამის შესრულებას. თუ ვერა.
- დორა: ვერა.
- დედა: შენს ადგილზე ექიმების რჩევას დავუჯერებდი.
- დორა: რასაკვირველია.
- დედა: სერიოზულად გეუბნები, დორა. თორემ ანთებები დაგემართება, დაიტანჯები.
- დორა: ან დენა ამიტყდება.
- დედა: ეს ექიმებმა გითხრეს.
- დორა: მე თვითონ მოვიგონე. იქ ხომ უამრავი სისხლი იყო.

20. ექიმის კაპითელი. აღტკიცებული განცემა.

ექიმი. დორა. სისხლი ნომ

- ექიმი: კარგი აგებულება გაქვს, დორა. გილოცავ.
- დორა: არ ვიცი.
- ექიმი: შენი სხეული კარგად გრძნობს თავს. ხარივით ჯანმრთელია.
- დორა: მაგრამ შენს შიგნით რა ხდება, მაგას ვერ ვხედავ.
- ექიმი: შიგნით ტამპონი მაქვს გაკვენებული, სქელი, თითქმის კუტუს ხელა, მაგრამ კუტუ არ არის. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ სისხლმა შარვალში არ გამოჟონოს.
- ექიმი: და ამიტომაც მოთმინება უნდა გამოვიჩინო ჩემი შიგნეულობის მიმართ, მაგრამ ათი დღის შემდეგ შემეძლება, უიმაობა კვლავ განვაახლო.
- ექიმი: მე ამას პრ ვგულისხმობდი, დორა.
- დორა: სულ ცოტათი მაინც არ დაგანალვლიანა ამ ამბავმა?
- დორა: მე სულ ნალვლიანი ვარ.

- ექიმი:** თუ არ ჩავთვლით იმ დროს, როცა ვუიმაობ, ნუთუ შვილზე სულ არ ფიქრობ.
- დორა:** რაც მოხდა, მოხდა.
- ექიმი:** აბა რა, ასეთი უმნიშვნელო ამბით ხომ არ შეიწუხებ თავს.
- დორა:** სწორია, ექიმო, სწორი.
- ექიმი:** მე შენი არ მჯერა, დორა.
- დორა:** რას მეუბნებით.
- ექიმი:** გრძნობები შენც გაგაჩნია. მოდი, ერთი რაღაცა ვითამაშოთ.
- დორა:** კარგი.
- ექიმი:** მე ერთ სიტყვას დაგისახელებ და შენ ეგრევე უნდა მითხრა, რაც კი თავში მოგივა. გასაგებია?
- მე ვამბობ:** ცეცხლი.
- დორა:** ცეცხლი.
- ექიმი:** ცეცხლი შენ არ უნდა თქვა.
- დორა:** ეს სიტყვა მომივიდა თავში და.
- ექიმი:** სხვა სიტყვა უნდა მითხრა.
- დორა:** ყველაფერი ნათელია.
- ექიმი:** მაშასადამე: ცეცხლი.
- დორა:** ცეცხლი.
- ექიმი:** კარგი, მოვეშვათ ამას.

21. სილ-პოსტივულის დაცლთან. ციცვალი დილაა.

- ქალბატონი:** როგორ ხარ?
- დორა:** კარგად.
- ქალბატონი:** ძალიან კარგი. ასეც ვიცოდი, რომ დარღით თავს არ მოიკლავდი.
- დორა:** არავითარ შემთხვევაში.
- ქალბატონი:** მე და შენ ერთი ყაიდის ხალხი ვართ. თავი არავის არ უნდა დააჩაგვრინო. კაცებს ხომ მხოლოდ ეგ უნდათ. მეც ეგეთი არხეინი ვარ. ჰა! გაიცინე, რა.
- დორა:** ჰა-ჰა!
- ქალბატონი:** ჰა-ჰა!

(პაუზა) ძალიან უსიამოვნო იყო?

დორა: რას ამბომთ, პირიქით!

ქალბატონი: სწორედაც.

რას აღარ მოისმენ ხოლმე ამის შესახებ, რა საშინელებებს აღარ ყვებიან. მართლა ასეც რომ იყოს. ძალიან რომ გიჭირს, სწორედ მაშინ გმართებს მხნეობა. ჩვენ ძლიერი ქალები ვართ. გინდა, ერთ საიდუმლოს გაგიმხელ. თავის დროზე კინალამ მეც მოვიშორე ეგვაჟის ვაჟბატონი. ხომ აღარ გეყოლებოდა ახლა შეფი.

დორა: ახლა ნანობთ...

ქალბატონი: მეტი საქმე არა მაქვს! სანანებელი არც არაფერია. მამამისის ცოლობა არ მინდოდა. ამის გამო კი იძულებული გავხდი... ასეა... რას იზამ. ცხოვრება გრძელდება. რა თქმა უნდა, მერჩივნა დამოუკიდებელი დავრჩენილიყავი, მაგრამ მაშინ ეს აკრძალული იყო და საზღვარგარეთ კი ვერ წავიდოდი, არ მქონდა ამის საშუალება. რაც იყო, იყო. შევეგუე ჩემს მდგომარეობას და შევეცადე, ყველას დაკარგვოდა ჩემი დატერორების სურვილი.

დორა: სწორედაც... არხეინი.

ქალბატონი: ცხოვრება კიბეა. ხან ადიხარ, ხან ჩამოდიხარ. რა საჭიროა ზედმეტი თავის მტვრევა. წინ უნდა იყურო. მით უმეტეს, ქალმა. თორემ გარეკავ, სერიოზულად გარეკავ. პაუზა.

დორა, ისე ცოტა მოწესრიგება არ გაწყენდა.

დორა: ჩემი სუნამო არ მოგწონთ.

ქალბატონი: თუ ასე პირდაპირ მეკითხები, არ მომწონს. საერთოდ ფრანგული სუნამო კი მომწონს, მაგრამ შენს სუნში საერთოდ იკარგება.

22. სასტუმროს ნომერში. იქამდე, სანამ ეს ჩვევად იძლევა.

დორა. სანდომიანი მამაკაცი.

დორა: ციტირებას ახდენს აბა, კარგი საქმეები კი დაატრიალეთ,

- ს.მ.: ქვემდებრი ბატონი გერმენ.
მაღალ კუნძულები.
- დორა: ნამდვილი ღორიონა იყო. ეს უნდა გენახათ.
- ს.მ.: ნარმობოდებია.
- დორა: ჰო, ჰო. ჩეცენ ფიციონერი, თორუმ თქვენ რა გენალვლებათ.
- ს.მ.: სამართლებულის არ მიქნია.
- დორა: ჩემი წება რომ ყოფილიყო, ბავშვს დავიტოვებდი.
- ს.მ.: სიცილით მაგარი სანახავი ეს ვიქნებოდით: შენ, მე და ბავშვი.
- დორა: მშენებილი რეაბილიტაცია, ნარმობოდებინე.
- დორა: ეს რას ნიშნავს. რა გინდა.
- დორა: ახალი ბავშვი უნდა გაფაკეთოთ. მაგრამ ამჯერად ნულარავის ვეტიფირი. თორუმ კიდევ გამომინოვენ.
- ს.მ.: უთემელადაც შეამჩნევენ.
- დორა: მუცელს შევწერ. შეხედე, აი, ასე.
- აკეთებს.
- ს.მ.: ასე ხომ ვერ იქნები მთელი ცხრა თვე.

23. პრისტოულის დახლიან. ყველასშან ურუარად.

დორა ქალბატონი.

- დორა: ქალბატონს ფურცელს ანგდის კითხვა კი ვიცი, მაგრამ მცვიდვება ხოლმე თავიდან, ვერ ვიმასსოვრებ.
- ქალბატონი კითხულობს: “შუა ხნის წყვილი, სუფთა, მოვლილი, კეთილგანწყობილი ყველაფერ იმისადმი, რასაც სიამოვნების მოგანა შეუძლია, ეძებს სუფთა, კარგად თავშენახულ, უცოლო მამაკაცს, რათა ერთობლივი ძალებით მოხერხდეს ყოველდღიურობისაგან თავის დაღწევა.”
- არასწორი რუბრიკა ამოვირჩევია, დორა. შეხედე, შენ აქ უნდა მოძებნო: “მამაკაცი ეძებს ქალს”, თუკი ვინმეს გაცნობა გინდა.
- პაუზა.
- თუმცა შენ ხომ გყავს უკავე შეგობარი მამაკაცი.

- დორა:** არ ვიცი. — ჩემი მიზანი მისცემოდა
ქალბატონი: მე ვხედავ, რომ გყავს. მაგრამ მისუბი სუნამო მაგან არ გაჩუქა. მაშინ იუფიტნის
 დორა თავს უქნევს. : 8.1
ქალბატონი: გულუხვი კი ყოფილა. ძალიან მაღალი დონის სუნამო
 იყო. : 8.1
დორა: არ ვიცი. : 8.1
ქალბატონი: მაგარი თავზეხელალებული უნდა იყოს, ორ კვირაში ყოველდღიურობიდან გაქცევას თუ გთხოვს. ან
 ვიგინდარა. : 8.1
დორა: რაო, რა წერია კიდევ. : 8.1
 ქალბატონი კითხულობს: “დიდი ინტერესით
 გავეცანი თქვენს განცხადებას. მე ვარ გამოცდილი
 მამაკაცი, უცოლო, სუფთა, მოვლილი, ჯანმრთელი,
 მსუბუქად დომინანტური, არა “ბი”, მაქვს საკუთარი
 ფურგონი შეხვედრებისათვის, ფინანსური
 ინტერესები არ გამაჩინია, კარგად ვარ აღჭურვილი
 და ამტანუნარიანობას არ ვუჩივი. ფოტოსურათი თან
 ერთვის.” ათვალიერებს. ყოჩალ! დროს ტყუილად არ
 აცდენ, მაგრამ შენს ადგილზე მე არ წავიდოდი. ცოტა
 რომ გაერკვევი ამ ამბავში, ეს მამაკაცი მერეა კარგი.
 შენნაირი ახალბედა მაგასთან ვერ გაერთობა.
 პაუზა.
 ეგ შენი მეგობარი კი, ორ კვირაში თუ მასეთ ტიპთან
 გაყოფას გიპირებს, ჩათვალე, რომ ნებისმიერს გაუყოფს
 შენს თავს. : 8.1
დორა: რა მოხდა მერე. : 8.1
ქალბატონი: ბოლოს ფულს მოითხოვს ამისათვის, დორა, და ქუჩაში
 აღმოჩენდები. იმდენი ბოროტი ადამიანი არსებობს
 ამქვეყნად. : 8.1
დორა: ჩემზე უფრო ბოროტი. : 8.1
ქალბატონი: იცინის შენ ბოროტი არა ხარ, დორა. შენ კრავი ხარ.

24. დაცლთან. ცოტა მოგვიანებით.

შეფი. დორა.

შეფი: აბა, ვინ გვყავს აქ.

დორა: მე ვარ, დორა.

შეფი: ვხედავ. თითქმის ძველებურად ხარ. ცხვირთან გაქვს ცოტათი კანი გადახეხილი.

წესით, შენზე გაცოფებული უნდა ვიყო, დორა. კარგად იცი, რატომაც.

დორა: წარმომიდგენია.

შეფი: კარგი.

ტკივილები თუ გაქვს.

დორა: არაა.

შეფი: კარგი. ერთ ხანს ყუთებს აღარ დაგაცლევინებ.

დორა: გმადლობთ, შეფ.

შეფი: რას გეუბნებოდი. მაგის ხურტკმელს მოუფრთხილდი-
მეთქი. გავარდა გოგო თავქუდმოგლეჯილი. მერედა, ვინ
უნდა აგოს პასუხი.

პაუზა.

ვერც კი ხვდები, ნამდვილი სიყვარულით ვის უყვარხარ.
როდესმე თუ დამიშავებია შენთვის რამე.

დორა: არაა.

შეფი: აბა, რატომ არ მიჯერებ, რასაც გეუბნები.

დორა: ძალიან ვწუხვარ, შეფ.

შეფი: დედაშენს უნდა უმადლოდე. თორემ მოგინევდა ქუჩაში
დგომა.

დორა: ძალიან საყვარელი დედიქო მყავს.

შეფი: სწორედაც. ერთსაც გეტყვი. აქ სარეაბილიტაციო

ცენტრი არ გეგონოს. მე ფული უნდა გავაკეთო. დღეიდან,
მხოლოდ იმას გააკეთებ, რასაც მე გეტყვი.

დორა: აუცილებლად, შეფ.

შეფი: დღეიდან, კვლავ ერთი გუნდი ვართ. აბა, ერთი მაკოცე.

დორა აკეთებს, რასაც ეუბნებიან და ზედმეტად

გულმოდგინეთაც. შეფს კუჭაზე მოავლებს ხელს და
აღარ უშვებს.

შეფი შეძრნუნებულია, დორას ხელს კრავს და ისე
იშორებს თავიდან: ნმიდაო ღვთისმშობელო.

- დორა:** დაუხვენავი იყო.
- შეფი:** დაუხვენავი.
- დორა:** მთელი ენით უნდა იმუშავოთ. გამუდმებით უნდა
ასავსავოთ, ღრძილები კი არ უნდა დამისეროთ ენის
წვერით.
- შეფი** სილას გააწნავს სახეში.
- დორა:** ასეთ ტექნიკას ჯერ არ ვიცნობ. როგორაა, აგიდგათ
უკვე.

სადგურზე. მას მერე, რაც პევრი რამა დაიმტვრა.

სანდომიანი მამაკაცი. დორა.

- ს.მ.:** გამარჯობათ, დორა. რა იყო, რა ცხვირ-პირი
ჩამოგტირით.
- დორა:** უბრალოდ ვაკოცე, მეტი კი — არაფერი მიქნია.
- ს.მ.:** ვის აკოცეთ.
- დორა:** ჩემს შეფს.
- ს.მ.:** საერთოდ, შეფს არ კოცნიან ხოლმე.
- დორა:** რატომ მერე.
- ს.მ.:** უბრალოდ არ კოცნიან და მორჩა.
- დორა:** თვითონ ყოველთვის მკოცნიდა. მე კი არასდროს
მიკოცნია. მხოლოდ დღეს მოვინდომე და აი, შედეგი...
- ს.მ.:** სამსახურიდან დამითხოვა.
- დორა:** თქვენც?
- ს.მ.:** არა, მე არ დავუთხოვივარ ჯერ არავის.
მაგრამ, ერთხელ, კონკურსის გავლა დამჭირდა. და ესა
უარესია.
- გაქვთ რაიმე გეგმა? დღეს ხომ დასვენების დღეა.**
- დორა:** არ გამოვა. ათიდღე უნდა დავიცადოთ.
- ს.მ.:** არაუშავს, ცოტა გავიარ-გამოვიაროთ.

26. ტპის სანაპირო. კემპინგი, საძაც გარკვეული განზრაპვით დაღიან ხოლმე.

დორა. სანდომიანი მამაკაცი.

- | | | |
|-------|---|--------|
| დორა: | ეგერ, მამაჩემის მანქანა დგას იქ. იქით, უცოლო
მამაკაცის ფურგონის გვერდით. | : დორა |
| ს.მ.: | რომელი უცოლო მამაკაცის? | : დორა |
| დორა: | აი იმის, ჭარმავი რომ არის, მოწესრიგებული,
გაპარსული, კარგად აღჭურვილი. | : დორა |
| ს.მ.: | შენ რა, ვინმე გაიცანი, დორა... მე არა, დედაჩემმა. | : დორა |
| დორა: | მე არა, დედაჩემმა. | : დორა |
| ს.მ.: | გრიალებს ხალხი. ქალაც ვხედავ. | : დორა |
| დორა: | ეს დედაჩემია. | : დორა |
| ს.მ.: | მერედა, აქ რა უნდა. | : დორა |
| დორა: | კემპინგში მოვიდა, ეტყობა, გარკვეული განზრახვა
გააჩნია. | : დორა |
| ს.მ.: | ამას უყურე, რა გარკვეულია. | : დორა |

27. საცლები. ეს შემდეგ, რაც ფაცხა-ფუცხით მოცვივდენ, რომ არ დაგვიახოვთ.

დედა. დორა. მამა. გრიალების ამინდი .82

- | | | |
|-------|---|--------|
| დედა: | უკვე მოხვედი. | |
| | სამსახურში რატომ არა ხარ. | |
| დორა: | სამსახურიდან დამითხოვეს. არაუშავს. ადრე თუ გვიან
მაინც ყველას ითხოვენ. | : დორა |
| დედა: | მაში, დაგითხოვა. | |
| | პაუზა. | |
| | მე რატომ არ შემითანხმდა. ახლავე დავურეკავ მაგ
ვაჟბატონს და ორშაბათიდან კვლავ ივლი. | : დორა |
| მამა: | ჯერ ხომ არ გაგვერკვია, მაინც რა მოხდა ზუსტად. | : დორა |
| დორა: | უბრალოდ, ერთმანეთს ვაკოცეთ. | : დორა |
| მამა: | ვის აკოცე, დორა. ვის აკოცე? | : დორა |
| დორა: | შეფს. მაგრამ არ მოეწონა და მიწაზე დააფურთხა, მერე | : დორა |

- კი დამითხოვა. მერე სასეირნოდ წავედით.
- დედა:** სასეირნოდ.
- დორა:** მე და ჩემი მეგობარი.
- დედა:** ხელიხელჩაკიდებულნი, არა.
- დორა:** არა, ხელიხელჩაკიდებულნი არა, მაგრამ კემპინგში კი ვიყავით.
- მამა:** დაქანცული ხმით: აჟა. კემპინგში, არა.
- დორა:** კუნძულებიდან არაფერი.
- დედა:** დედა სულაც არ არის ახალბედა, ხომ მართალია, მამა.
- მამა:** გააჩნია, რომელ სფეროში.
- დორა:** შეფის დედამ მითხრა, რომ ახალბედა ვერ მოახერხებს კაცისათვის ასეთი სიამოვნების მინიჭებასო, მე კი.
- დორა:** დავინახე, რომ დედაჩემი ახერხებდა.
- მამა:** მამა დორას სახეში ურტყამს.
- დორა:** კარგად რომ გავიწაფები, მეც ხომ წამიყვან.
- მამა:** მამა დორას სახეში ურტყამს.
- დორა:** რა მოხდა... შენც იქ არ იყავი.
- მამა:** კვლავ ურტყამს.
- დორა:** ო'კეი.

28. ექიმის კაპითალში. პვირა დღეა, მაგრამ ექიმება მაინც გამონახა დრო.

- ექიმი:** ნამდვილი სისასტიკე იყო შენი მხრიდან, დორა. ძალიან უგულოდ მოიქეცი.
- დორა:** გარგარის ჩირს ღეჭავს:
- ცხადია:** ცხადია.
- ექიმი:** მამაშენის კარგად მესმის.
- დორა:** მეტნაკლებად.
- ექიმი:** შენს მშობლებს უამრავ სირთულეს უქმნი ამჟამად,

ტანს არ იპან, სამსახურიდან გამოგაგდეს.

დედაშენმა უკვე აღარ იცის, რა მოგიხერხოს.
პაუზა.

პირუტყვად იქეცი.

დორა: დედაჩემი კეთილი და საყვარელი ქალია.

ექიმი: რატომ აკეთებ ასეთ რაღაცეებს...

დორა: არ ვიცი.

ექიმი: შენც იფიქრე, თავს ძალა დაატანე.

დორა: არ ვიცოდი, თუ ჩემი მშობლებიც უიმაობდნენ.

ექიმი: ყველა უიმაობს.

დორა: მერე, რატომ არავინ არ იცის.

ექიმი: ყველამ იცის.

დორა: მაშინ, ჩემთვის რატომ არ შეიძლება?

ექიმი: შეიძლება, დორა.

დორა: ო'კეი.

ექიმი: ასეც ვვარაუდობდი.

დორა: ჩემთვისაც უნდა გეთქვათ.

ექიმი: ვიფიქრე, ეს მე არ მევალება-მეთქი.

დორა: რატომ? განა თქვენ არ უიმაობთ?

ექიმი: მე ამისათვის სხვა სიტყვას გამოვიყენებდი, დორა. მე ამას სიყვარულობას ვუწოდებ.

დორა: რა განსხვავებაა...

ექიმი: ნაკლებად უხეშად უღერს.

დორა: მე მომწონს უხეშობა.

სხვანაირად ვერ ვკმაყოფილდები.

თქვენ არ მოგწონთ?

ექიმი: ყოველთვის არა.

დორა: რატომ არა?

ექიმი: ეგ ხომ მარტო მე არ მეხება... ჩემს ცოლსაც ეხება.

დორა: და იმას არ უყვარს უხეშად?

ექიმი: არა, ეს უკვე მეტისმეტია, დორა.

მე და ჩემს ცოლს გვიყვარს ერთმანეთი. ეს კი არის

მიცემა და აღება, გესმის? ორ ადამიანს შორის

ურთიერთობა და არა უბრალოდ გამოლება — შედება.

სექსუალურობა მთელი სამყაროა, ოკეანეა. თქვენ

ერთად მიირთმევთ გემრიელ კერძებს, უსმენთ

მუსიკას, ანთებთ სანთელს, ხომ სწორია, ერთმანეთს

- დორა:** კომპლიმენტებს ეუბნებით.
ექიმი: კომპლიმენტი რა არის.
დორა: როცა პარტნიორს სასიამოვნო რამეს ეუბნები,
 მაგალითად, როგორი სიმპათიური მამაკაცია და როგორ
 გიყვარს. ამის მერე, თუკი სურვილი გაგიჩნდებათ,
 შეგიძლიათ მოეფეროთ კიდეც ერთმანეთს.
დორა: თუ ასეა, მაშინ დედაჩემი კი არ სიყვარულობდა,
 უიმაობდა. არც ჭამდა და არც სანთელი ენთო.
ექიმი: ეს, მხოლოდ მისი საქმეა, დორა.
დორა: ო'კეი.
ექიმი: ნუთუ ეს ყველაფერი შენზე ცუდად არ მოქმედებს.
დორა: თავს აქნევს. ექიმს ჩირს აწვდის. ის ართმევს. დორა
 რაღაცას ღიღინებს.
ექიმი: მე თქვენ მომწონხართ. ყველაზე რთულ რაღაცებსაც
 კი, გასაგებად მიხსნით ხოლმე.
ექიმი: ძალიან მიხარია.
დორა: პულოვერს იძრობს.
ექიმი: კარგი, დორა. გეყოფა. მეტი არაა საჭირო.
დორა: რატომ.
ექიმი: ნამოდექი ფეხზე. ჩაიცვი. დორა აკეთებს, რასაც ეუბნებიან. მერე, ისევე უკან
 ებერტყება.

29. ექიმის პაპითი. უკვე გვიანია და დაღლილობა

იგრძნობა.

- ექიმი:** დორამ მიამბო კემპინგის ამბავი.
დედა: ეს... ჩემი პირადი საქმეა.
ექიმი: ჰო, მაგრამ თქვენს ქალიშვილს აინტერესებს.
დედა: მე და ჩემს ქმარსაც ხომ გვინდა პირადი ცხოვრება.
დორასთან შანსი: არ არის რამე დამალო. შეუძლებელია
 მის გარეშე რამე ქნა. მთელი დღე სახლშია დაყუდებული.
 ყოველ შემთხვევაში, ამ ბოლო დრომდე ასე იყო.
 ამიტომაც ვაწყობთ ხოლმე მე და ჩემი ქმარი ასეთ

ექიმი: გასვლებს. რა, დორას გამო ყველაფერზე უარს ხომ ვერ ვიტყვით.

დედა: ამას არავინ გთხოვთ.

ექიმი: ჩემს თავს ვეკითხები, ნეტა ადრეც ასე ხომ არ იქცეოდა. ბოლო სამი წლის მანძილზე. ყველაფერს ჩუმად ხომ არ აკვირდებოდა... და არაფერს იმჩნევდა.

ექიმი: რას უნდა დაკვირვებოდა?

დედა: მე რა ვიცი, რას უნდა დაკვირვებოდა. ჩვენს ცხოვრებას.

ექიმი: დორა თქვენთან ერთად ცხოვრობს. თქვენი ცხოვრების გასაგებად დაკვირვება არ სჭირდება.

დედა: თქვენ ალბათ ყველაფერს უყვებით თქვენს შვილებს.

ექიმი: შვილები არა მყავს.

დედა: მაშინ გეტყვით, როგორც ხდება. შვილებს ყველაფერს ბოლომდე არ აჩვენებენ, რაღაცას თავისთვის იტოვებენ. ვერ გავიგე, აქ რატომ ვზივარ და რატომ გელაპარაკებით ამაზე. ეს ხომ თქვენ საერთოდ არ გეხებათ და არც არაფერია სათქმელი.

ექიმი: უბრალოდ, ერთხელაც დორამ ყველაფერი დაინახა.

დედა: თავის თავს დააბრალოს, რა უნდოდა, რომ დაძვრებოდა ჩუმ-ჩუმად და გვითვალთვალებდა. მიიღო კიდეც.

ექიმი: თქვენ ქალიშვილი ძალიან ცუდადა.

დედა: სამი კვირაა უკვე, წამალი არ დაულევია.

30. სახლში. დილაა. დორას სანოლთან.

დორა და დედამისი.

დედა: თუ იტირებ, გავალ.

დორა: ო' კეი.

დედა: შენი თავაშვებულობის ბრალია ყველაფერი.

დორა: რატომ არ მიყვებოდი.

დედა: რას არ გიყვებოდი.

დორა: თუ უიმაობდი.

დედა: ეს შენ არ გეხება.

დორა: მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ამაზე მშვენიერი

არაფერი მინახავს. წამდვილ ანგელოზს ჰგავდი.

დედა: გაჩუმდი.

დორა: მეც მინდა შენნაირი კაბები და ფეხსაცმელები,
წინდებიც.

დედა: შენ არ მოგიხდება.

დორა: თქვენს დანახვაზე ისეთი მშვენიერი გრძნობა
დამეუფლა, ეს უიმაობასაც კი ჯობდა. და ჩვენც ვეღარ
მოვითმინეთ, სულელებმა, და შევუბერეთ... ამ დროს,
წესით, ათი დღე უნდა მომეცადა. თქვენ შიგნით იყავით,
თბილად, ჩვენ კიდევ გარეთ, მაგრამ, მაინც კარგი
იყო. ცოტა კი შეგვცივდა, მაგრამ მერე უიმაობაში
გავხურდით. ახლა კი უნდა მოვკვდე.

დედა: დამუწავ თუ არა ბოლოსდაბოლოს მაგ დეგენერატულ
პირს.

დორა: მამაც ხომ იქ იყო.

ცუდი რა არის ამაში.

ისეთი მხიარული სახე გქონდა.

დედა: შენ არ გესმის...

დორა: ამიხსენი მერე.

დედა: არა.

დორა: გთხოვ.

დედა: იქნებ, სხვა დროს უფრო მოვახერხო.

დორა: აღარ გიყვარვარ უკვე, არა.

დედა: ეს როგორ იფიქრე. უბრალოდ, ისეთ რაღაცეცებში ნუ
ყოფ ცხვირს, რაც შენ არ გეხება.

დორა იცინის.

დედა: სასაცილოს რას ხედავ.

დორა: სასაცილოა. ცხვირის ჩაყოფა საქმეებში.
პაუზა.

ახლა კი, უნდა მოვკვდე.

დადუმდება.

დედა: მორჩი, არ გინდა ეს თეატრი.

დორა: ძალიან მიყვარხარ, დედა. კარგად იყავი.

დედა: ახლავე შეწყვიტე, დორა.

დორა: კარგი.

დედა: დორა.

დუმილი.

დორა, გეყო მაიმუნობა. დორა, გეყო მაიმუნობა.

31. პრე. მარტორიშვილი გვილიძი ლეთაგი, ლოდინი სამშვიდობო განაცხადის.

დედა. მამა.

- დედა:** ამ ბოლო დროს, თავში, სულ ის ფილმები მიტრიალებს, ცხოველებზე რომაა გადაღებული. როგორ გვიჩვენებენ, რომ თუნდაც სრულიად უმნიშვნელო დაზიანების შემთხვევაშიც კი, ცხოველს ესპობა გადარჩენის შანსი. საკმარისია, ლომმა ეკალზე ფეხი დაადგას და მორჩა, ვეღარ წავა სანადიროდ. დამთავრებულია მისი საქმე. თუ ნამატი სრულყოფილი არ არის, დედამისი თვითონვე ჭამს ხოლმე. ამისათვის ისიც კი კმარა, ახალდაბადებულს ექვსი თითო თუ ექნება თათზე. რადგან ექვსთითიანი არსება დასაღუპადაა განწირული. ჩვენ, ადამიანები კი სხვაგვარად ვართ მოწყობილი.
- მამა:** მე... შენ არ გსაყველურობ.
- დედა:** მაგის დროც დადგება. პაუზა.
- ასე მეგონა, დორა კი არ იყო ავად, მე ვიყავი.
- თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მოწამლული ვიყავი.
- მამა:** არ მესმის შენი.
- დედა:** არასდროს მოხვედრილხარ წირვაზე, სოფლის ეკლესიაში? იქ ხშირად ნახავ ოჯახებს, ერთიმეორეზე მიყოლებული ოთხი-ხუთი შვილით... და ყველას სათვალე უკეთია, სქელშუშიანი — დედასაც, მამასაც, ბიჭისაც, გოგოსაც. ისმის კითხვა, რაღა მაინცდამაინც ერთმანეთზე დაქორწინდნენ, ხომ თვალის პრობლემა ჰქონდათ ორივეს. ეს ხომ უპასუხისმგებლობაა... პაუზა.
- ჩვენ რაღატომ შევწყვილდით...
- მამა:** რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გვიყვარდა ერთმანეთი.
- დედა:** აჲ, მაგიტომ...
- არა, ვერაფერი შევატყვეთ ერთმანეთს. მაგალითად, მე ვერ შეგატყვე, რომ ავადმყოფი იყავი.
- მამა:** მე აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ.

- დედა:** რაღაც, ალბათ, მაინც ვერა გაქვს მთლად, თორემ
საიდან გვეყოლებოდა ავადმყოფი შვილი.
- მამა:** ნორმისგან გადახვევა ავადმყოფობა არ არის.
- დედა:** ჩვენ უკვე გადახვეულები ვართ ნორმისგან, ჩემი
ძვირფასო, მაგრამ აქამდე არ ვიცოდით. არ ვიცი,
რატომ, მაგრამ დაზიანებული გვაქვს უკვე გენები,
კოსმოსური დასხივებაა დამნაშავე, ოზონის ხვრელი, თუ
დაბინძურებული გარესამყარო. თანაც, ჩვენი მშობლები,
ახლო ნათესაურ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან.
- მამა:** ჩვენს მშობლებს არ აკავშირებდათ არავითარი
ნათესაობა.
- დედა:** მაგაზე თავს ვერასოდეს დადებ.
- მამა:** რომ გვცოდნოდა, რა ცუდი გენები გვქონია,
შეწყვილებას არასდროს მოვინდომებდით.
- მამა:** ახლა ყველაფერს საკუთარ თავზე ნუ აიღებ.
- დედა:** სულაც არა.
- მამა:** სწორედაც. სხვას არაფერს უტოვებ.
- დედა:** ადექი და აიღე შენც.
- მამა:** მასთან ერთად გატარებული მშვენიერი წუთებიც
გვახსოვს.
- დედა:** ერთი წამი მაინც დამისახელე, როცა არ გინატრია,
რომ ნეტავი ჩვენც ნორმალური და ჯანმრთელი შვილი
გვყავდესო.
- მამა:** მე ამას დორასთვის ვნატრობდი. ნეტავი
გამოჯანმრთელდეს-მეთქი.
- დედა:** კარგი, რა. მორჩი სისულელებს. რა უნდა
გამოჯანმრთელდეს. მაგის წარმოდგენაც კი
შეუძლებელია. ჯანმრთელი დორა... ვარდისფერი
ლოცვებითა და წვრილი წელით. დორა — კუჭის
ნორმალური მოქმედებით და არა გაუთავებლად კუჭში
შეკრული იმ დეგენერატული წამლების გადამეიდე.
- დორა** — ნორმალურად მოაზროვნე. დორა — მთელი
დღის მანძილზე გაუთავებლად მოყვირალიან პირში
წყალჩაგუბებული და გაყუჩებული თევზივით. სუფთა
დორა, თუნდაც ერთი წუთის მანძილზე, დალაქული
კოფთისა და დაზოლილი საცვლის გარეშე. ასეთ დორას,
ვერც კი წარმოიდგენ. თუკი მაინც შეეცდები, ეს უკვე

დორა აღარ იქნება. შენს ცხოვრებაში, ერთხელ მაინც, გამოიჩინე პატიოსნება.

მამა: იმისდა მიუხედავად, ჯანმრთელია თუ ავადმყოფი, ყოველ ადამიანს გააჩინა საკუთარი ლირსება.

დედა: შეიძლებოდა ჰქონოდა, შეიძლებოდა ყოფილიყო, შეიძლებოდა... ჩემს ფეხმძიმობაში რომ გაგეგო, როგორი შვილი გვეყოლოდა, მაინც მოინდომებდი დორას გაჩენას? პატიოსნად მიპასუხე. მოგვაროს, რომ გაგვეგო.

მამა: აბა, მაშინ როგორ უნდა გაგვეგო.

დედა: დღეს ხომ ვიცით. მაგრავ და მარტინი და გაუზა.

თავიდან იმით ვიმშვიდებდი თავს, რომ დიდხანს მაინც აღარ გვაწვალებს-მეთქი. უნდა მოვითმინო, ბუნებას მივენდო და ის მოაწესრიგებს ყველაფერს-მეთქი. მერე შეგვეძლო, ერთხელ კიდევ გვესინჯა, მაგრამ ბავშვი ძლიერი აღმოჩნდა, კერკეტი კაკალივით მაგარი. მთელი ძალით ებლაუჭებოდა სიცოცხლეს. ამასობაში მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ ახალგაზრდობაც წასულა, გაფრენილა, ბავშვი კი უჩვეულოდ

სიცოცხლისუნარიანია, ჩვენზე მეტადაც კი. ჩიტივით დანავარდობს ზევით-ქვევით, ორსულდება კიდეც.

იფიქრებდი ამას, რომ დორა შეიძლება დაფეხმძიმებულიყო? ვგულისხმობ, წმინდა ანატომიური თვალსაზრისით...

მამა ვერ ასწრებს პასუხის გაცემას, რადგან დორა შემოდის.

დორა: გაუმარჯოს.

დედა: გვეგონა, ხვალამდე არ გამოგიშვებდნენ.

დორა: ხარივით ჯანმრთელი ვარ.

32. ექიმთან. ახალი კვირა დაიცუო. გაჩდა ახალი შანსი.

დორა. ექიმი. დედა.

დორა: მე მინდა, დღეს დანაბარები გადმოვცეთ. ჩემმა მეგობარმა განაცხადა, რომ თანახმაა ამაზე.

- ექიმი:** აპა.
- დორა:** სიამოვნებით ვიყოლიებთ შვილს, თუკი შესაძლებელი იქნება.
- დედა:** სულ მაგას ჩავჩინონებ, რომ ამოიგდოს ეს აზრი თავიდან.
- დორა:** ოჯახის შექმნა უნდა. სამსახური აქვს და ფულსაც საკმარისად შოულობს. სამივეს თავისუფლად გვეყოფა.
- დედა:** სამს რატომ.
- დორა:** მამას, დედას და ბავშვს.
- დედა:** მასთან აპირებ გადასვლას?
- დორა:** ხშირად მოვინახულებ ხოლმე. შაბათ-კვირაობით, ყოველთვის, გპირდები.
- დედა:** იმედია, ის კაცი სერიოზულად არ ფიქრობს ასე.
- დორა:** მე მას ვუყვარვარ.
- დედა:** შენ საიდან იცი?
- დორა:** ამას იგრძნობ, არ არსებობს...
- ექიმი:** იქნებ და ის კაცი მართლა სერიოზულადაა შეყვარებული, მიგვეცა შანსი. შეიძლება, უკეთესიც გამოდგეს.
- დედა:** ვერ ნახეთ, როგორ მოექცა, რა დღეში ჩააგდო...
- დორა:** ეს, ჩემი პირადი საქმეა.
- ექიმი:** დედას მიმართავს: სიმართლეს თვალი გაუსწორეთ, არ შეგვიძლია არსებული სიტუაციის შეცვლა და თავის მოტყუება, თითქოს ყველაფერი ეს უკვალოდ ჩაივლის. მედიკამენტების მიღებას რომ შეწყვეტ, სწორედ მაშინ არის მისი მოქმედება ყველაზე ძლიერი.
- დედა:** ჩვენ უკვე მეტისმეტად შორს შევტოპეთ.
- ექიმი:** მოდით, შევეცადოთ ლიად ვიმოქმედოთ. დორა, რა იქნება, შენს მეგობარს რომ უთხრა, უფრო სწორად სთხოვო, ჩემთან წამოგყვეს.
- დორა:** არ ვიცი...
- ექიმი:** გადაეცი, რომ დიდი სიამოვნებით გავეცნობოდით. შეგვეძლო ჩვენ სამს ერთად განგვეხილა, თუ როგორ შეიძლება იარსებოს ახალგაზრდა ოჯახმა.

33. სატუროს ნომერი. ეფურჩა, რომ ვადა იცურება.

სანდომიანი მამაკაცი. დორა.

- ს.მ.:** რაო, ზუსტად რა გითხრეს.
- დორა:** უნდა განვიხილოთ ახალგაზრდა ოჯახის არსებობის საკითხი.
- ს.მ.:** კარგი... და მე რაღა მინდა იქ?
- დორა:** შენ ხომ მამა ხარ.
- ს.მ.:** ამის გამო ხომ არ წამოვალ ექიმთან. თანაც შენთან ერთად. დედაშენს რაღა უნდა იქ... არის თუ არა ეს ჩვენი პირადი საქმე.
- არა, არა, დორა. ამ საქმეს ცუდი სუნი ასდის, დორა. ჩემი გამოჭერა უნდათ.
- დორა:** დედაჩემს არ უნდა შენთან უიმაობა. თვითონვე თქვა.
- ს.მ.:** მაგათ უნდათ, რაღაც ამკიდონ. ჩვენი ურთიერთობა არ ანყობთ... დღეს ისეთი დროა, ძალიან ადვილია ციხეში მოხვედრა. გაზიერებს არ კითხულობ?
- დორა:** ბრაზდება კითხვა შემიძლია-მეთქი, ხომ გითხარი.
- ს.მ.:** ვიცი, ვიცი, რომ შეგიძლია. ძალიან კარგადაც, სხვათაშორის.
- დორა:** ექიმი ძალიან საყვარელი ადამიანია. დედაჩემსაც ხომ იცნობ უკვე...
- ს.მ.:** საიდან უნდა ვიცნობდე.
- დორა:** ფურგონში მხოლოდ ერთი ქალი იყო. დედაჩემი...
- ს.მ.:** ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ვიცნობ.
- დორა:** სამაგიეროდ თვითონ გიცნობს. შენ და შენნაირებს. ეზიზლები.
- ს.მ.:** მეც მაგას არ ვამბობ... ხომ გითხარი, ჩემი დაჭერა უნდათ-მეთქი.
- დორა:** მე გეგმა მაქვს. თან შენი ჩემოდანი წამოიყოლე. დარწმუნდებიან, რომ მუშაობ და კრამიტიც არა გაქვს დაცურებული. ბოლოს კი, დედაჩემს სუნამოს აჩუქებ.
- ს.მ.:** ყველა ქალს კი არ მოსწონს ჩემი სუნამოები.
- დორა:** მოუსყიდველი არავინაა.
- ს.მ.:** კარგი წარმოდგენა კი გქონია საკუთარ დედაზე.
- დორა:** დედაჩემი საყვარელი ქალია.

ს.მ.: კარგი. აქამდე ყველაფერი კარგად მოგიფიქრებია. მერე რა უნდა მოხდეს, შენი გეგმის მიხედვით?

დორა: მერე ვიუიმავებთ, გავაკეთებთ ბავშვს, ვაცლით, სანამ გარეთ გამოვა და სახელს დავარქმევთ.

ს.მ.: შენი ამბავი რომ ვიცი, ეგეც მოფიქრებული გექნება. უკვე.

დორა: ყველაზე ლამაზ სახელს დავარქმევთ, რომელიც კი ამქვეყნად არსებობს.

ს.მ.: ძალიან მაინტერესებს...

დორა: ჩვენს შვილს დორა ერქმევა. ეს არის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი სახელი.

შენ, მხოლოდ ექიმთან უნდა წამომყვე. წამოდი.

ს.მ.: ვიფიქრებ მაგაზე. პირობას გაძლევ. ძილში ვიფიქრებ მაგაზე. მოდი ჩემთან.

დორა მიდის. კოცნიან ერთმანეთს.

ს.მ.: სუნი აგდის. გადალრძუებულ თხასავით ყარხარ. მაინც ვინახარ, რა მყავხარ ასეთი, ნამდვილი ანგელოზი.

რა ბედნიერებაა, რომ შენისთანები კიდევ არსებობენ ამქვეყნად. ახლოს მოინიე.

ერთმანეთს კოცნიან.

34. ეპითან. დღო იცელება ქაფის გორგალივით, იცელება და პოლოს ფედება.

ექიმი. დორა. დედა. მამა.

ექიმი: საკმარისად ვიცადეთ უკვე.

დორა: მოვა, აგერ ნახავთ.

დედა: ნახევარი საათია, მაგას გაიძახი.

დორა: მოვა. აუცილებლად მოვა.

დედა: ნელ-ნელა მინყდება მოთმინების ძაფი. ჭკუას მოუხმე, დორა. შენი მეგობარი ნამდვილი ნაძირალაა,

პასუხისმგებლობის გრძნობა საერთოდ არ გააჩნია. : .8.3

შენ სადისტს ჩაუვარდი ხელში, როგორც ჩანს...

თავისი ფანტაზიების დასაკმაყოფილებლად გიყენებს.

კარგი... რაც არის, არის. ხდება ხოლმე. შენი საქმეა.

- მაგრამ** ხომ შეიძლებოდა, მომკვდარიყავი, ბეწვზე ხარ გადარჩენილი.
- დორა:** მე მას უუყვარვარ.
- დედა:** შენ არ იცი, რას ნიშნავს სიყვარული.
- დორა:** მე ვგრძნობ ამას.
- ექიმი:** ასე არ გამოვა. გამოსავალი უნდა მოინახოს, რათა ცხოვრების გაგრძელება შევძლოთ ყველამ!
- აბა, ჩამოვყვეთ ახლა რიგის მიხედვით. დორა, შენთვის რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი.
- დორა:** პატარა დორა მინდა გავაჩინო.
- ექიმი:** სიყვარული შენთვის არაფერს ნიშნავს?
- დორა:** დორა, რომელიც ყველას ეყვარება. რომელსაც გაჟიმავენ. რომელიც ყველას ეყვარება. ჩემსავით. მეც ვეყვარები ყველას.
- ექიმი:** კარგი. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც გაირკვა, თუ რა გინდა. მაგრამ მინდა პატიოსანი ვიყო შენთან... ჩვენ არ ვიცით, რანაირი ბავშვი გეყოლება.
- დორა:** ჩემნაირი.
- ექიმი:** შენნაირი რომ იქნება, ორი აზრი არ არსებობს.
- დორა:** ჩემსავით შეუხედავი იქნება. რა მოხდა მერე. უბრალოდ კბილები ექნება ჩემზე უკეთესი. ერთი წინა კბილი კიდევ მომერყა, შემომხედეთ. მომძვრება, სადაცაა.
- ექიმი:** მხოლოდ ერთ კითხვაზე მიპასუხე, დორა.
- შენ გჯერა, რომ შენ ჯანმრთელი ხარ?
- დორა:** სურდო მეწყება.
- ექიმი:** შენ არა ხარ ჯანმრთელი, დორა.
- დორა:** რა მჭირს, კი მაგრამ...
- ექიმი:** საშიში არაფერი. შენ კარგი გოგო ხარ, ძლიერი, მაგრამ შეიძლება შენი შვილი შენზე მეტად... ბევრად ავადმყოფი იყოს.
- დორა:** და მოკვდეს, არა?
- ექიმი:** სრულიად შესაძლებელია.
- დორა:** აჲ...
- ექიმი:** ეს ხომ არ გინდა.
- დორა:** არა.
- ექიმი:** აი, ხომ ხედავ.
- დორა:** ოღონდ, თუ შეიძლება, წამლებს ნუ დამალევინებთ.

ექიმი: ჩვენ გვესმის შენი, დორა და პატივს ვცემთ შენს სურვილს. ღვთის წყალობით, სხვა გამოსავალიც არსებობს. ეს დღეს პრობლემას აღარ წარმოადგენს, მართლა. ბევრი თანამედროვე და ჭკვიანი ქალი იკეთებს ამას, შვილის ყოლა რომ არ უნდათ. ისინი თავიანთ ქალურობას მხოლოდ დედობასთან არ აიგივებენ. სხვათაშორის, ამას კაცებიც იკეთებენ ხოლმე.

დორა: მამიკოც იკეთებს...

მამა: უკვე ვფიქრობ, მეც ხომ არ გავიკეთო-მეთქი.

დორა: მამიკო თუ გაიკეთებს, მეც გავიკეთებ. პაუზა.

მაგის მერეც ათი დღე მომიწევს ნეტა ლოდინი?

ექიმი: ვშიშობ, მაგას ვერ ავიცილებთ თავიდან. მაგრამ სამაგიეროდ, მერე შეგიძლია იცხოვრო ისე, როგორც გინდა. არავითარი შეზღუდვა აღარ გექნება. შენ, თავადვე შესძლებ საკუთარი ცხოვრების განსაზღვრას. სრულფასოვანი ქალი იქნები.

დედა: ყველაფრის უკან დაბრუნებაც შეგეძლება.

ექიმი: რა თქმა უნდა, თუკი ყველა დეტალი ერთმანეთს დაემთხვევა... თუკი ნამდვილად შეიქმნება ამის საჭიროება, შეიძლება მაგის მოსინჯვაც... რამდენადაც შესაძლებელი იქნება.

35. სასტუმროში. შეგინძლებისას.

სანდომიანი მამაკაცი. დორა.

ს.მ.: ასეთ სახეს ნუ მიიღებ. არ გიხდება. შემაყოვნეს. თავი ხომ უნდა ვირჩინო ბოლოსდაბოლოს.

დორა: ხელში ჩემოდანი უკავია. თავიდან ფიქრობდნენ, მარტო საკვერცხის არხებს გადავუკეტავთო, მაგრამ მერე ექიმმა თქვა, უკეთესი იქნება თუ საშვილოსნოსაც ამოვულებთ ბარემო. მაინც არაფერში დამჭირდება თურმე, თანაც შეიძლება კიბოთი დავაავადდე. თუკი ბავშვის გაჩენას მოვინდომებ, უცბად აღმიდგენენ ყველაფერს.

- ს.მ.: ასე გითხრეს, ხომ, დორა... : ღლივი
 დორა: ახლა უკვე სრულფასოვანი ქალი ვარ. თანაც : ღლივი
 ს.მ.: მოგატყუეს. რასაც ამოგჭრიან, იმას უკან როგორდა : ღლივი
 დორა: ვერ დამიბრუნებენ. : ღლივი
 ს.მ.: ნამდვილად ველარ დაგიბრუნებენ. : ღლივი
 დორა: აბა, როგორ იქნება ჩვენი შვილების საქმე. : ღლივი
 ს.მ.: ვშიშობ, მაგ საქმეს ანი ალარაფერი ეშველება. : ღლივი
 დორა: აჟ... ტირის. : ღლივი
 ს.მ.: ნუ ტირი, პატარა რუსის ქალო. ალბათ ასე ჯობდა. : ღლივი
 დორა: ალარ გინდა ხომ, რომ ოჯახი გყავდეს. : ღლივი
 ს.მ.: რაღა მნიშვნელობა აქვს, რა მინდა. : ღლივი
 დორა ტანზე იხდის. : ღლივი
 ს.მ.: რას აკეთებ. გაჩერდი. : ღლივი
 დორა: არ უნდა ვიუიმაოთ? : ღლივი
 ს.მ.: არ გინდა. შიგნით ალბათ ყველაფერი სისხლით გაქვს სავსე. : ღლივი
 დორა ეხუტება. : ღლივი
 მომშორდი, ყარხარ საშინლად. : ღლივი
 დორა: ჩემი ბრალი არ არის. იმათმა დამბანეს. საავადმყოფოში. : ღლივი
 როცა მეძინა. : ღლივი
 თუ ჩემი გაუიმვა არ გინდა, გამლახე მაინც ცოტათი, : ღლივი
 გამოიჩენე სიკეთე. : ღლივი
 ს.მ.: რატომ უნდა გაგლახო. : ღლივი
 დორა: სიამოვნება რომ მივიღო. : ღლივი
 ს.მ.: მერე წახვალ და ყველას მოუყვები, რომ გცემე. : ღლივი
 დორა: დედაჩემს ვუთხარი მარტო. : ღლივი
 ს.მ.: საკუთარი დედა არ უნდა მოატყუო, დორა. : ღლივი
 დორა: მე არ ვატყუებ. : ღლივი
 ს.მ.: ჯერ არ გამილახიხარ, ჩემო პატარა რუსის ქალო, : ღლივი
 არცერთხელ. ურტყამს. აი, ახლა კი გცემ. იგრძენი : ღლივი
 განსხვავება. : ღლივი
 დორა: ვერა. ამიხსენი. : ღლივი
 ს.მ.: კვლავ ურტყამს დორას. გესიამოვნა? : ღლივი
 დორა: არაუშავს. : ღლივი
 ს.მ.: კვლავ ურტყამს დორას. აბა ახლა, ახლა თუ იგრძენი : ღლივი
 განსხვავება... : ღლივი

- დორა:** ცოტათი მეტკინა. ცოტათი ურტყამს.
- ს.მ.:** ცოტათი, არა? კელავ ურტყამს. განსხვავება ის არის, რომ ამას უიმაობა აღარ მოჰყვება. ამაშია სხვაობა.
- დორა:** ო'კეი.
- ს.მ.:** აბა, ეხლა შენი ნივთები აქრიფე.
- დორა:** განა აღარ მივდივართ რუსეთში?
- ს.მ.:** მივდივართ, აბა რას ვშვრებით. მაგრამ.. რაღაც-რაღაცეები უნდა მოვამთავრო იქამდე. ჯერ შენ წადი და იქ შევხვდეთ ერთმანეთს.
- დორა:** რუსეთის გზა რომ არ ვიცი...
- ს.მ.:** სადგურზე წახვალ. იქ ეწერება სადმე. კითხვა ხომ იცი.
- დორა:** თავს უქნევს. ხომ მალე მოხვალ.
- ს.მ.:** რა თქმა უნდა. ხომ არ გაცდევინებ აბა... მოიცა. ფულს აწვდის.
- დორა:** შენს ათფრანკიანს გიბრუნებ. რომ გავსწორდეთ. დედაჩემი მაინც ხედავდეს ამას. მიმტკიცებდა, იმ ფულს თვალითაც ვეღარ იხილავო. არც ის სჯეროდა, რუსეთში თუ წავიდოდით და არც ჩემი გამოშვება უნდოდა. მერე მამიკომ უთხრა, ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა დამდგარიყო ეს დროცო. მერე დედა ატირდა, მამამ კი თქვა, ვინც უშვებს, იმას ხელფეხი ხსნილი აქვსო, მაგრამ დედა მაინც ტიროდა, მამამ კი თქვა, ჩვენ ის კარგად მოვამზადეთო და დედამ ჩამილაგა ჩემოდანი, სულ ტიროდა და ტიროდა და მაშინაც კი არ შეუწყვიტია ტირილი, რომ დავპირდი, რუსეთიდან ლია ბარათს გამოგიგზავნი-მეთქი.
- ს.მ.:** ბარათს რომ მიიღებს, როგორ გაიხარებს...
- დორა:** აბა, ახლა გავარდი, თორემ გაგასწრო მატარებელმა.
- ს.მ.:** მაკოცე.
- დორა:** არა, დორა, ახლა რომ გაკოცო, მაშინ ეს დამშვიდობება გამოვა. მე შენ რუსეთში გაკოცებ, ჩემო პატარა მეფის ასულო, რუსეთში გაკოცებ.

Fin de la bobine.

გერმანულიდან თარგმნა შორენა შამანაძემ